

საქართველოს კუთხეობა

გამოცემა უცხოეთში მყოფ სოც.-ფედერ-ბის კომიტეტისა.

მაისი. 1935 წ.

№ 8.

რვეული მე-8-ე.

შინაარსი : 26 მაისი. — რისთვის ვიბრძოდით, რისთვის გვებრძოდენ. — არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას. — რაღ არა ვსწერთ ჩენი პარტიის ისტორიას. — † იოს. პილსუდსკი. — † გიგო რცხილაძე. — ძვირფას გიგო რცხილაძის ხსოვნას. — მიმოხილვის მაგიერ. — კიდევ ერთი პასუხი.

26 მაისი 1918 წელი.

დიდი ისტორიული დატაა ქართველი ერის ცხოვრებაში, ხოლო მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ არაა სათანადოთ გაშუქებული და შესწავლილი.

26 მაისი ერთი დღის ამბავი არაა, არამედ წლების, საუკუნის, მეტის. დიდი ხნით მზადდებოდა, რაც ამ დღეს მოხდა. რამდენი გამწარება, სულიერი შფოთვა, აზრთა შეტაკება, შეტევა და უკან დახევა, რამდენი დაცემა და გმირობა, შიში და სასოება, რამდენი დაბრკოლების დაძლევა, თავის განწირვა იყო საჭირო, ვიდრე 26 მაისამდე მივიღოდით!

ძნელია ამ დღის გაგება, მისი სიყვარული, თუ ყოველივე ეს ნათლად არ წარმოვიდგინეთ.

26 მაისი შეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან იყო შემზადებული, ბრძოლა და მუშაობა მისთვის რუსების შემოსვლის პირველ დღიდანვე დაიწყო. ეს იყო დავალება საქართველოს მთელი გრძელი თავპარასავალის:

ქართველი ერი რასოდეს არავის დამორჩილებია. თუ ის დროებით დაღუმდებოდა, მხოლოდ დასასვენებლად და ძალების მოსაკრეფად გადამწუვებ ბრძოლისათვის, და ბოლოს დაბოლოს ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა...

ასე უნდა ვუყურებდეთ დღევანდელ მდგომარეობასაც. ქართველ ერის ისტორია გრძელდება, იგი ბრძოლაა თავისუფლებისათვის, ბრძოლა და გამარჯვება.

ესაა 26 მაისი, ესააა ანდერძი, ესაა შანდატი, მოცემული ჩვენი ისტორიის.

რისთვის ვიზრძოდით, რისთვის გვებრძოდენ?

რამდენად მწარედ განიცდი აღამიანი საქართველოს აწინდელ მდგომარეობას—და ეს მდგომარეობა ხომ მეტად შძიმება და საშინელი—, იმდენად ვერ იგუებ და არც გესინ ქართველ ემიგრაციაში ამ უამად გამეფებული ერთმანეთის სიძულვილი და ცხარე ბრძოლა. თქმა არ უნდა, ემიგრაცია ცოცხალი სხეულია და იგი განუკვეთელია სამშობლოსაგან, სამშობლოს ბედით სულდგმულობს, მოძრაობს, მოქმედობს და უდავოა, რომ მის აზროვნებასა და მოლვაწეობაში ყველაფერი ერთი ხაზით არიქნება მიმართული—აზრთა სხვა და სხვაობა ბუნებრივია, გასაგებია. სადაც ძიება და მოძრაობაა, იქ განსხვავებაც და შეტაკებაც დასაშვებია. ეს სასაყვედურო არაა. მაგრამ გაუგებარია, როცა განსხვავება და უთანხმოება იმ დონეს ახწევს, რომ ყოველივე ერთობა თითქმის იჩრდილება, ჰქონდება. დიდი საერთო საქმე, რომელიც ერთად უნდა რაზმავდეს ყველას ერთი მიზნისათვის, მივიწყებული რჩება და პირველი ოლაგი კერძობითს განსხვავებებს, ცალკე შეცომებს დაუკავებია, და ამის ბრძოლას უნდება მთელი დრო და ძალა. ჩვენს ემიგრაციაში დღეს კერძობითი გრძნობა სჭარბობს. პირიქით რომ ერთობის მეტი შეგნება სჭარბობდეს, ყოველი განკერძოება უფრო აილაგმებოდა და საერთო მისწრავების საგანიც უფრო მოვიახლოვდებოდა. კერძობა კერძობით არ დაიძლევა, მისი შემასუსტებელი და ამომფხვრელი საუკეთესო საშუალებაა ერთობის და მთლიანობის იდეის გაღვივება, გაძლიერება, მაღლა აწევა. ვხედავდეთ უფრო ნათლად, რაც საერთოა ჩვენს შორის, და მკრთლად—რაც გვაშორებს ერთმეორეს; ვეძებოთ ერთმანეთში, რაც კარგია, ძვირფასია, საჭიროა ჩვენი საქმისთვის, და ნაკლებად შევიზაროთ ურთიერთი იმისთვის, რაშიაც ვერ შევთანხმებულვართ; დავაფისოთ უფრო ერთმეორის ღირსება, ვიდრე ვამხილოთ ერთმანეთს ნაკლი და შეცომა...

სამწუხარო ეს ასე არაა. მაგრამ ამ უამად არ გვინდა ამაზე სიტყვა გავაგრძელოთ. მკითხველის ყურადღებას მივაჭცევთ მხოლოთ ერთ მოვლენაზე, რომელიც უეჭველია იმავე კერძო-

ობიდან წარმოსდგება. ესაა ის სრულიად დამახინჯებული ცნობები, რომელსაც ემიგრანტული დაჯაფუფებანი ავრცელებენ პრესაში თუ სიტყვიერ მოხსენებებში ჩვენი ახლობელ წარსულის შესახებ, აღმაღი იმ მიზნით, რომ თავისი ჯაფუფური მართებული თუ არ-მართებული დამსახურება და ღირებულება პირველ რიგში დააყენონ, და მეორე მხრით კერძოობისა და განსხვავების გამომზეურებით, განსახლებით ეროვნული ერთობა და შევნება დააბნელონ. არ ვამობთ, რომ ეს ყოველთვის შევნებულად ხდება.

რასაკეირველია, ამ ახლო წარსულის არდავიწყება ოლონდაც გვმართებს. იგი თავის დროზე ჯეროვანად იქნება შესწავლილი და დაფასებული. ყველას და ყველაფერს თავისი შესაფერი მსჯავრი დაედება—ამას ვერავინ დაემალება. საფიქრებელია მხოლოდ, რომ დღეს—აქ უცხოეთში, ემიგრანტულ პირობებში, აწინდელ სულიერ განწყობილების დროს—ვერავინ შესძლეს ახლობელ წარსულის ამბებს, განსაკუთრებით პარტიათა დავას, დინჯად და ობიექტურად მიუღეს.

ჩვენ ყოველთვის ვერიდებოდით ამ მოსაზრებით საპარტიათა-შორისო საკითხების შეხებას. მაგრამ როგორც ზევით ვსოდვით, ისეთს გამოსვლებს აქვს აღვილი, ისეთი უმართებულო აზრები კრცხულდება კერძოი ს.-ფედერალისტების პარტიის მოლვაწეობაზე—იმდენად, რამდენად მის მოლვაწეობას დამსახურება აქვს საქართველოს ეროვნულ ალორძინებაში, რომ არ შეგვიძლია პასუხი არ გავსცეთ ზოგიერთს და არ აღვადგინოთ ფაქტიური სინამდვილე, რომელიც საჭიროა ბევრი გაუგებრობის გასაფანტავად, განსაკუთრებით ამ ემიგრაციაში, სადაც ყველას არა აქვს საშუალება შეამოწმოს სათანადო წარმოებით გაგონილი თუ წაკითხული. თავის-თავად ცხადია, აქ ჩვენ ვილაპარაკებთ საერთოდ და არსებითად და უკუვაგდებთ ყოველსავე პიროვნულს და დეტალურს.

საკითხის გასაშუქებლად საქმარისია შევჩერდეთ სამ მომენტზე: ა) ქართული ეროვნული მოძრაობა წინად და მდგომარე საუკუნის დასაწყისში; ბ) რაში იყო ბრძოლა ს.-ფედერალისტებსა და მათ მოწინაამდევეთა შორის; გ) რატომ ეწერა ჩვენს დროშაზე მხოლოდ ტერიტორიალური ავტონომია და არა სრული დამოუკიდებლობა?

ემიგრაციაში ძალიან ფეხმოღმულია აზრი, რომ ქართულმა ეროვნულმა მისწრაფებამ საუკეთესო გამოხატულობა ჰქონა მესამოცე წლებში, და ცთილობს ბევრი, იქიდან უშუალოთ გააბას ძაფი დღევანდლამდე, აწინდელ ინტეგრალურ ნაციონალურ შეგნებამდე, თითქოს ამის შემდეგ და ამას გარდა რაც იყო, ყველაფერი უარყოფითია, ანტი-ეროვნული და მაშასა-დამე უკუსაგდები და დასაგმობი. ამასთანავე მესამოცე წლია-

ნებში უდიდეს წარმომადგენლად მიჩნეულია ილია ჭავჭავაძე, რომელმაც სავსებით შეიგნო ქართველი ერის ტკივილები და მოგვცა კიდეც სრული წამალი მათი განკურნების, როცა მოხევის პირით გვითხრა, რომ ჩვენ ჩვენსავე თავს უნდა ვეკუთვნოდეთ.

ჭეშმარიტად, ილია ჭავჭავაძე მაღალი ბუნების პიროვნებაა — რომა ნიჭის და შეცნობის — და მისი უაღრესი მამული შვილობა, მთელს მის არსებაში შთანთქმული სიყვარული მშობელ ერისა და ქვეყნის უდავოა. ილიას შეეძლო თამამად და ღირსულად ეთქვა:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!

შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება.

და ვისაც ამის თქმა არ ძალუდს, ის თავის მამული შვილობას ნუ გვეტყვის. და რამდენი ამისთანა ადგილი შეგვიძლია დავასახელოთ მის ნაწერებიდან — მისი პოეზის, მისი უურნალისტიკის, მისი საჯარო სიტყვიერი გამოსვლების,, რომელშიაც ქართველი ერის ნამდვილი შფოთვა და კვნესა გაისმის და რომლებიც მჭევრმეტყველურად ღალადებენ მათი წარმომთქმელის სულიერს სიდიადეს და ულრმეს მამული შვილურს განცოებს. *)

მაგრამ ილიამ მარტო არ იყო — იმავე გზას მიყვებოდენ სხვა ჩვენი მწერლებიც. აკაკის, სამშობლოს სადიდებელი და ერის სიყვარულით გაულენთილი ლექსები სახალხო სიმღერებად იყო გადაქცეული და მათი ჩონგურზე დამღერების დროს ქართველის გულს მოქვებოდა და იმედი ჩაესახებოდა:

„მოვა ღრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გაწყვეტს
გმირთა გმირი,

სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“.

ან როდესაც მამია გურიელი შესძახებდა თანამემამულეებს:

„ასე ვუთხრათ, საქართველო, აღსდეგ,

გახდი კვლავ თავხედი, არა არის უსაშველო!“

განა იმავე მისწრაფებას არ ამჟღავნებდა, იმავე საქმეს არ ემსახურებოდა, იმავე ეროვნულს გრძნობებს და ფიქრებს არ აღძრავდა, არ აღვივებდა?

და სხვებიც, დიდები თუ მცირენი, ოსტატები ქართული ლექსისა და არა მარტო პოეტები, ყველა მწერალი, მცირე გამო-

*) აღსანიშნავია, რომ ბევრი ვინც დღეს ილიას ეროვნულ აზრებს ეპოტინება, ივიწყებს, რომ ილიამ იმავე დროს მოგვცა თავის ლექსებსა თუ სხვა ნაწერებში პირდაპირ საქრისტომატიო, სანიმუშო დემოკრატიული იდეები.

ნაკლისის გარდა, მაშინდელი პრესა, თუმცა და სუსტი, უალრესად ნაციონალური იდეის მატარებელი იყო.

ჩვენ აქაც ვერ შევრჩერდებით და გვერდს ვერ ავუხვევთ წინა ეპოქასაც, როცა გრ. ორბელიანმა დასწერა „სადღეგრძელო“ (უნდა გამოვაკლოთ მერე ჩართული ადგილები) და ნ. ბარათაშვილმა—„ბედი ქართლისა“. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელმა მეტად გაბედულად დააყენა საქართველოს საკითხი და მეფე ირაკლის და ს. ლეონიძის დიალოგში უფრო გარკვეული პოლიტიკური გეგმა მოგვცა, ვიდრე ამას ვხედავთ შემდეგში...

მაგრამ ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში უეჭვა, რომ საერთოდ მესამოცე წლებში დიდი აზვირთება მოხდა ქართული ნაციონალური იდეის—უფრო ფართოდ, უფრო მძლავრად და ღრმად. როგორი იყო ეს იდეა? ეს იყო დიდი სიყვარული ერის, გულითადი განცდა მისი მწარე ბედის, შეცნობა იმის, რომ აუცილებელია თვითარებობა, თვითმყოფობა. დაცვა ქართული ენის, კულტურის, მიწა-წყლის, ეროვნული თვითშემეცნების გაღვიძება, განათლება, ეკონომიკური მოლონიერება—აი გეგმა. ამას არ სცილდებოდა მაშინდელი მისწრაფება. ძლიერია სიყვარული მამულის, ძლიერია განცდა მისი მდგომარეობის—ეს ნათელია. მაგრამ სადაა გამოსავალი? თქმა იმის, რომ „ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“,—ძალიან ბევრიცა და ძალიან ცოტაც. ეს ყველაფერია და არც რა არის. ეს არაა საკითხის პოლიტიკურ სფეროში გადატანა, არაა მისი პრაქტიკული დაყენება.

მესამოცე წლიანებმა დიდი პატრიოტული გრძნობები გადმოშალეს და დიდი პროპაგანდა გასწიეს ეროვნულ თვითშეგნების, მაგრამ მათი მუშაობა იყო უპირველესად ლიტერატურული და არა პოლიტიკური. მათი აუდიტორიაც, სარბიელიც ძლიერ შემოზღუდული იყო—ეროვნული იდეის ქადაგება არ სცილდებოდა შედარებით ვიწრო შემოფარგლულ წრეს. და არა მარტო ილია ეკითხებოდა მწარედ თავის თავს: „აბა სადაა ქართველი და საქართველო?“

რასაკვირველია, ეს არ მიეწერება იმ დროის მოღვაწეთა პიროვნულ თვისებებს. ბევრი მათგანი მაღალი ნიჭის და გაგების პატრონი იყო. მაგრამ ნათქვამია: „რა ქნას კარგმა მონარდემა....“. ყველაფერი ერთბაშად არ კეთდება; როგორც სხვაგან, ჩვენშიაც ეროვნულ იდეას ერთნაირი ზრდა, მომწიფება დასჭირდა: სათანადო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული დაწინაურება.

ეს თანდათან მოხდა გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში; და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ ნაციონალურ იდეის ახალს გამლას და მისდამი სრულიად ახალს

მიდგომას, რის მესვეურობა წილად ხვდა სოც.-ფედერალისტების პარტიას და ამ მხრივ ამ პარტიის მაღალი დამსახურება საქართველოს ეროვნულ აღორძინებაში არაეხსოვის სადავო არ უნდა იყოს.

გადავავლოთ მოკლედ თვალი საქართველოს მაშინდელს მდგომარეობას ეროვნული თვალსაზრისით. ჩვენი ქვეყანა არა-სოდეს ყოფილა ასე რუსულ საფრთხეს წინაშე, როგორც მა-შინ. რუსიფიკაციის პოლიტიკამ უმწვერვალესამდე მიაღწია: საქართველოს ხელისა აუკრძალეს ქართულ გაზეთებსაც კი, ქართული ენა ძალის ენად მონათლეს და განდევნეს ყოველ დაწესებულებიდან, სკოლიდან, ეკლესიებიდანაც ქალაქებში; ქართველისთვის გზა შეიკრა სახელმწიფოებრივ და საზოგა-დოებრივ სამსახურში; ქართველების სამკვიდრო მიწა-წყალს ყოველ მხრით შემოესია უცხოელი და ჩვენი ტერიტორია აივ-სო გარეშეებით. ჩვენი დედა-ქალაქი სრულებით ჰკარგავს ეროვნულს ელფერს, ქართული კულტურული დაწესებულე-ბანი ძლიერ ლაფავენ სულს, ქართული ერთად-ერთი ყოველ დღიური გაზეთის გვითხველი რამდენსამე ასეულს არ სცილ-დება, ქართული წარმოდგენები სისტემატიურად ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში იმართება მხოლოთ ტფილისში და ქუთა-ისში—კვირაში ერთხელ-ორჯელ ან ორკირაში ერთჯერ, სა-ნახევროთ ცარიელ დარბაზში. ქართველების შეკრებულობას თუ ხედავთ, მხოლოთ რომელიმე საზოგადო მოღვაწის დაკრ-ძალვაზე. ქართული წიგნი წელიწადში ხუთიოდე თუ გამოდის და ისიც მცირე ტირაჟით. ეროვნული საქმის ჭირისუფალი არა-ვინ სჩანს. თ.-აზნაურობამ დაჰკარგა ყოველი როლი. ძევლი, მესამოცე წლების მოღვაწეები მოღუნდენ, მეტად მოზომიერ-დენ, ბევრი სრულ უიმედობაში გადავარდა; ვინც რასმეს აკე-თებდა, რუსის ბიუროკრატიის შემოხაზულ „ლეგალურ ფარ-გალ“ არ შორდებოდა. მართალია, ამავე დროს ჩვენი ცხოვ-რების სარბიელზე გამოვიდენ ახალი, მანამდის სრულიად უც-ნობი ძალები, საშუალო და მდაბალი ფენები ჩვენი ერისა, ხოლო ამ ფენებს საერთოდ სათავეში ჩაუდგა პარტია, რომელ-მაც დიდი პოლიტიკური მუშაობა გასწია, მაგრამ ეროვნულს საკითხს მიუდგა უარყოფით.

აი ასეთ პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება სოც.-ფედე-რალისტების პარტიას: გარედან უდიდესი საფრთხე და ყოველ-გვარი დაბრკოლებანი, შიგნით—ძევლი ნაციონალური მოღვა-წეების დაუძლებურება და შეუგნებლობა ცხოვრების ახალ ვი-თარებისა, ერთის მხრით; ახალი ძალები საუცხოვოთ დარაზ-მულნი და დიდი აქტივობის მქონენი, რომელნიც ებრძოდენ ეროვნულ მისწრაფებათა ყოველს გამომუღავნებას; მეორე მხრით. არასოდეს მუშაობა ქართულ ეროვნულ იდეისთვის არ

ყოფილა წინად ასეთ მძიმე გარემოებაში, არც მესამოცე წლებში, არც იქნით აღრე. რა ლოზუნგით დავიწყეთ მოქმედება? ერთს „ახალგაზღა“ ისტორიკოსს თუ დავუჯერებთ, ა. ჯორჯაძე და მისი თანამოაზრენი რაღაც ავტონომიას მოითხოვდენ და ისიც იმ პირობით, თუ სოციალისტური შინაარსის იქნებოდა. ვინც ამნაირად ცთილობს ს.-ფედერალისტების მნიშვნელობის ამოწყურვას, ის უთუოდ საგნის უვიცია ან ბუნებით ბოლშევიკი და მის გულში ჯერ კიდევ უხვადაა დარჩენილი ნალეკი ძველი სიძულვილისა.*). მეორე ახალგაზღა კიდევ მედიდურად გაიძახის: „რას წარმოადგენენ ფედერალისტები თავის ფედერაციის—რუსეთის ფედერაციის—და მიწის სოციალიზაციის პროგრამითო? და იშასაც ჰკადრულობს, თითქოს თვით ს.-ფ-ბი უპირებდენ თავის თავს ლიკვიდაციას. ეს ახალგაზრდა შეტად ახალგაზღადა აღბად, თორემ ეცოდინებოდა, რომ ს.-ფედ-ბს ყველაზე ნაკლებად აქვთ სალიკვიდაციოთ საქმე, ვინაიდგან ის, რისთვისაც ისინი მარტო იბრძოდენ, დღეს მთელი ქართველობის სათაყვანებელი საგანი გახდა. მესამე— ეს უკვე არა ახალგაზრდა—ამტკიცებს, რომ ს.-ფედ. პარტია წვრილ ვაჭარ-მრეწველთა ინტერესებს ემსახურებოდა და ავტონომიას ვერ გასცილდა, მაშინ როდესაც დასელების ლიდერები სეპარაციამდეც კი მიღიოდენო (?)...“

მაგრამ თავი დავანებოთ ამ დეტალებს. შევეხოთ საკითხს არსებითად. ს.-ფედერალისტების პარტიის მოღვაწეობა ეროვნულ საქმეში იყო საქართველოს სახელმწიფოებრივობის დროშის მაღლა აწევა და ეროვნების პირველ ადგილზე დამკვიდრება ქართველი ერის ცხოვრებაში. სამშობლოს სიყვარული, სიყვარული მისი ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, ენის და შემოქმედების, საკუთარი ეროვნული მეობის ღირსება, ეროვნული სახეობის გამოქმნა, დაცვა სამშობლოს ტერიტორიის, ეროვნების მაღლი შევნება — აი რის გარშემო ტრიალებდა პარტიის მოქმედება სიტყვიერი თუ ბეჭდვითი, საქმით თუ პროპაგანდით.

შეიძლება ეს ახალი არ იყოს, ეს უკვე გვიანდებოდა წინა თავობამ. მაგრამ ახალი იყო ამის გაბედულად, უკომპრომისოთ, ფართოდ დაყენება. ქართული ეროვნული საკითხი გამოვიდა

*). შარშან ტფილისში გამოვიდა განსვენებული გ. ლასხიშვილის მეტად საინტერესო და ძვირფასი „მემჭარები“, რომელსაც ბოლშევიკებმა უმსგავსო წინასიტყვაობა წაუმდლვარეს და ზიზლით და ლანდღვით შეამკეს ავტორის ეროვნული იდეები. სამწუხაროა, რომ მსგავს მოვლენას აღგილი აქვს აქ. პარიზში.

ვიწრო წრიდან და მოეფინა ფართო წრეებს, მთელს ქართველ ხალხს, აამოძრავა ქალაქი და სოფელი, დიდი და ძვირე, ყველა ჩააბა ამ საქმის ბრძოლაში. ჭინად სამზობლოს უფლების საკითხი მარტო ძვირე ტირაჟის პრესის ფურცლებზე იყო მომწყვდეული, ახლა ამ პრესის შეითხველი 10-15 ჯერ შეტი იყო, და საკითხი, აგრე ვსთქვათ, გადაიჭრა ქუჩაში, გამოვიდა გარეთ—იგი გახდა საკამათო საგანი ჩვენი დაწესებულებების, საჯარო ქრებების, მიტინგების, ყოველი თავშეყრილობის. მთელი საქართველო დაირაზმა ამ საკითხის გარშემო: ეროვნება თუ არა? მთელი ქართველი ერი ორ ბანაკად დაიყო— ეროვნების დამცველი და მებრძოლნი ერთი მხრით, და მოწინაამდეგენი, მეორე მხრით. ეროვნული საკითხი შეიქნა კარდინალური მთელი ქართველობისთვის, მაღლიდან დაწყებული დაბალ საფეხურამდე, და სრულიად სამართლიანად სწერდა ა. ჯორჯაძე: „ჩვენს საზოგადოებაში სხვა და სხვა ჯვაფების კლასიფიკაციის საფუძვლად ეროვნული პრობლემა გახდა. იმას არავინ დაეძებს, თუ რა მსოფლშედველობის ხართ საზოგადოთ, რა თვალით უყურებთ შრომის ორგანიზაციის საქმეს, რა გიყვართ ხელოვნებაში და რას ეძებთ, რას ესწრაფვით სიცოცხლეში—ყოველივე ეს საინტერესო არაა. საინტერესოა მხოლოთ ერთი რამ—როგორ გესმით ეროვნული პრობლემა... ამაყურად ატარებთ ქართველი კაცის სახელს, თუ სირცხვილით იწვით იმ უბედურების გამო, რომ განვებას ქართველად გშობა და ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანად გაგაჩინა?... დღეს ნაციონალური პრობლემა ჩვენი ცხოვრების პრობლემად გახდა და მაზეა მიპყრობილი ქვეყნის ყურადღება“. (ტ. I, გვ. 24).

ვამბობთ, ეს იყო სრულიად ახალი საქართველოს ცხოვრებაში—ასე ფართოდ გაშლა ეროვნულ საკითხისა. ს.-ფედ. პარტიამ მთელი ქართველი ერის წინაშე დასვა ეროვნების პრობლემა და დავა მასა და მოწინაამდეგეთა შორის იმის გარშემო კი არ ტრიალებდა—ავტონომია თუ არა, თუ ავტონომია, როგორი? და სხვა ასეთი. ბრძოლა არსებითად იყო ერის უზენაესობისა და პირველობის გამო. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ არავითარი განვითარება არც პოლიტიკური, არც კულტურული, ეკონომიკური თუ სოციალური არ შეიძლება გარეშე ეროვნულ თავისუფლებისა, ეროვნულ თვითარებისა, სახელმწიფოებრივობისა, რომ ეროვნება უმაღლესი ფაქტორია ცივილიზაციისა; რომ ერი ერთი მთლიანი სხეულია, რომ არიან კლასები და კლასთა ბრძოლა, რომ სოციალური სამართლიანობის დამყარება აუკილებელია კაცობრიობისათვის და მუშათა მოთხოვნილებანი ჯეროვანია. მაგრამ კლასთა და

კლასობრივ მოთხოვნილებათა მაღლა დგას ერის ინტერესი, შისი ინტეგრალობა, მისი თვითმყოფობის დაცვა, რომელიც განსაკუთრებით საქართველოს პირობებში მოითხოვდა ყველა კლასის და წოდების საერთო გამოსვლებს და ბრძოლას ქართულ ეროვნულ საქმისათვის. მოწინაამდეგენი გვეუბნებოდენ: ჩვენ არ უარვყოფთ, რომ არის ეროვნება და ერი, მხოლოთ ამას მნიშვნელობას არ ვაძლევთ, ჩვენთვის მთავარია მუშათა კლასის ინტერესი, სოციალური ბრძოლა და ამას ვუმორჩილებთ სხვა ყველაფერს; სხვა და სხვა ერის მუშები უფრო ახლო არიან ერთმანეთთან, ვიდრე ერთი ერის მუშები და სხვა კლასები; საერთო ეროვნულ მოთხოვნილებათა წამოყენება და ბრძოლა ეროვნულ ინტერესებისათვის აბნელებს და ასუსტებს ბრძოლას სოციალურ ინტერესებისათვის, თიშავს ყველა ერის მუშათა ერთობას და სოლიდარობას და ამიტომ იგი გამორიცხულია ჩვენი გეგმიდან და მოღვაწეობიდან; თუ დღევანდელი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ეროვნულ მებრძოლთა გზა და ჩვენი გზა ერთმანეთს შეხვდება, ერთად ივლიან,—კარგი, ხოლო თუ მათ შორის ეს იგივობა არაა, ჩვენ განშე ვტოვებთ ეროვნულ იდეას და მივყვებით ჩვენს გზას— ბრძოლას მუშათა კლასის ინტერესებისთვის. ერთი სიტყვით, მაშინ როდესაც ჩვენთვის ეროვნება და სამშობლო წმინდათა წმინდა იყო, მოწინაამდეგენი მას უყურადღებოთ სტოვებდენ და ძალიან ხშირად აბუჩად იგდებდენ და დასცინოდენ: თითქოს ქართველობა, ერის შვილობა დამამცარებელი და შეურაცხყოფელი სახელი იყო..

ამის გარშემო იყო გამართული ბრძოლა და, როგორც ზევით არჩილმა აღნიშნა, დანაწილებული და დარაზმული მთელი საქართველო.

შემდეგ ახალი იყო ს.-ფედ-ის გამოსვლაში ის, რომ არ კმაყოფილდებოდენ ერისა და სამშობლოს იდეის ზოგადი ხასიათის პროპაგანდით და ბრძოლით ამ იდეისთვის, როგორც ის ხდებოდა წინად. მათ ჩამოაყალიბეს ქართველი ერის ეროვნული მისრადათება გარკვეულ პოლიტიკურ ფორმაში და ამით მისრებს მას პრაქტიკული სახე. ის იყო: ქართველი ერის ეროვნულ თვითარებობის და თავისუფალ განვითარების უზრუნველყოფასაყოფლად მოთხოვნა საქართველოს სახელმწიფო ბრივობისა ტერიტორიიალურ პოლიტიკურ ივტონომიის სახით. თუ რატომ ავტონომიაზე გავჩერდით და არ წამოვაყენეთ სრული სეპარაცია, ამას ჩვემოთ განვმარტავთ. ავტონომია იყო საქართველოს სახელმწიფო ბრივობის აღდგენა, აინაიდგან „ოდეგანდელი ჩვენი უბედურება წარმოსდგა საქართველოს სახელმწიფო ბრივობის მოსპობით... საქართველოს სახელმწიფო-

ებრივობა იყო გამომსახველი, გამამტკიცებელი და დამცველი დარაჯი ქართველი ეროვნებისა. მე-19 საუკ. დასაწყისში მოსპესი ეს ორგანო, მასაზრდოვებელი და მფარველი ამ ეროვნებისა. ამას შემდეგ იყო არა თუ დაძაბუნება და შესუსტება ქართული ეროვნებისა, არამედ შემუშავება პირობებისა ეროვნების სრული მოსპობისა და ქართველი ხალხის დედა-მიწის ზურგიდან აღვისა“ (არ. ჯ-ძე ტ. I, გვ. 132). ტერიტორიალური ავტონომია იყო აღდგენა, თუმცა ლა არა სრული, ჩვენი სახელმწიფოებრივობის, რომელიც მხოლოთ მოგვცემდა გარანტიას თავისუფალ ეროვნულ განვითარებისათვის. ავტონომია გამოხატავდა გარკვეულს სახელმწიფოებრივობას და ამით ქართველი ერის მისწრაფება ჰპოულობდა რეალურს სახეს. მოცემული იყო ნათელი პრაქტიკული გეგმა მუშაობის და ბრძოლის, და თვით ლოზუნგი ავტონომიისა თავისთავად არკვევდა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურს მისწრაფებას, აძლევდა მას სიმტკიცეს და სიმკვიდრეს და იყო უძლიერესი იარაღი (იმ დროს) ეროვნულ იდეის დემონსტრაციისა და გავრცელებისათვის. ავტონომიის მოთხოვნამ დაანახა ყველას— მტერს და მოყვარეს, შინაურს და გარეშეს,— რომ ქართველ ერში მარტო გული კი არ სხვერდა ქართველურად, ქართველი ერი კი არ ოცნებობდა მხოლოთ თავის ეროვნულ იდეალზე, არამედ მას მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა მისი პრაქტიკული განხორციელება და ამის გზას დაადგა უკვე.

დასასრულ, ახალი იყო მეთოდი მოშაობისა. ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ ეროვნულს თავისუფლებას არავინ გვაჩუქებდა, ნამეტურ იმ დროინდელ პირობებში; არც თუ თხოვნებით და პეტიციებით მივახწევდით მიზანს. საჭირო იყო დარაზმა პარტიულ - ორგანიზაციულად, დარაზმა მთელის ერის მებრძოლთა თავისუფლების მოსაპოვებლად. მტკიცე ეროვნული შეგნება, მოთხოვნა ეროვნულ ლინების აღდგენისა ყოველ საშუალებით, ლეგალურად თუ არალეგალურად, ყოველ დაწესებულებაში, ყოველ შემთხვევის დროს. მაგრამ ამასთანავე ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ბოლოს და ბოლოს საჭირო გახდებოდა ბრძოლა შეიარაღებული, საერთო თუ ნაწილობრივი, ქართველი ერის სახელმწიფოებრივობის აღსაღვენად. მაშასალამე ახალი იყო, ეს, აგრე ვსოქვათ, რევოლიუციური მიღომა ქართულ ეროვნულ საკითხისადმი.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ დავკმაყოფილდით ავტონომიით? დღეს იმ გაუგონარი ომებისა და რღვევების შემდეგ, რომლებიც გამოვიარეთ უკანასკნელ წლებში, ძალაში აღვილია პოსტ-ფაკტუმ ამ ამბების „წინასწარმეტყველობა“, ყოველგვარი გეგმის შედგენა წარსულისთვის და ჭკუს სწავლე-

ბა, ახალ-ახალი და ცხელ-ცხელი პროგრამების წარმოდგენა საქართველოს გასაბედნიერებლად, განსაკუთრებით აღვილია ეს აქ პარიზში, სადაც რა პროგრამას არ იპოვით—უკიდურეს შემარჯვენეთგან უკიდურეს მეძარცხენებდე, პროგრამას უკვე დაბეჭდილს (დაგჭირდებათ მხოლოთ საქართველოს სახელის ჩაწერა შიგ!); დღეს უკელაზე მეტს ურა-პატრიოტობას ისინი ჩემულობენ, რომლებსაც წინად პოლიციელის დახახვაზე შიშის ოფლი დაასხამდა, რომლებიც რუსის იმპერატორის ხელის მიერაცხვარს იწერდენ, ხოლო როცა საქართველო ღირსების დაცვა იყო საჭირო, ლოგინის ქვეშ იმალებოდენ... დღეს უკელა დამოუკიდებლობას გაიძახის და ვერ წარმოუდგენია, სხვანაირად როგორ უნდა იყოს!

მაგრამ რა იყო ამ საუკუნის დასაწყისში? რუსეთი—უზარ-მაზარი იმპერია—შიშის ზარს გვრიდა მთელს დედამიწას და არა რუსის ერები მაგრად ჰყავდა შებორკილი და ჩაჭედილი ურიცხვი ჯარებით. მტრული განწყობილება იყო ამ ერებისადმი არა თუ რუსეთის მართველ წრეებში, არამედ თვით მე-მარცხნებშიც კი, რომელნიც გარდა ზოგადი დეკლარაციებისა არაფერს იმეტებდენ დაჩაგრულ ერებისათვის. ეს ერები არ იყვნენ შეკავშირებულნი საერთო გამოსკლებისთვის. საჭირო იყო დიდი ხანგრძლივი მუშაობა და ბრძოლა მცირეოდენი გაუმჯობესობისათვის და არავინ, თვით უკიდურესი რევოლუციონერებიც კი, არ მოელოდა იმ კატასტროფას, რომელიც მოყვა დიდი ამს. ასეთ პირობებში განა შეიძლებოდა სრული დამოუკიდებლობის წამოყენება? ჩვენ დავდექით ავტონომიის ნიადაგზე და ამნაირივე იყო სხვა ერების რევოლუციონერების მოქმედებაც თვით ისეთი მძლავრი რევოლუციონური და ეროვნებისთვის თავდადებული პარტია, პარტია დიდი და მრავალრიცხვანის, მაღალი ეროვნული შეგნების და კულტურის მქონე ერისა, როგორიც იყო პოლონეთის სოციალისტური პარტია თუმცადა აღიარებდა მთელი პოლონეთის აღდგენას და სრულს განთავისუფლებას. მაგრამ დასძენდა ამასაც: სანამ მუშათა კლასის მდგრადირება და საერთო პოლიტიკური პირობები არ გვაძლევენ ნებას ახლანდელ დროში თამოყრი-ოებლობის მოპოვებისა მთელი პოლონეთისათვის. პ. ს. პ. იბრძის როსეთის თუ პოლონეთის სხვა ნაწილში ისეთი შესტი-სთვის, რომელიც აკელაზე ახლოა თამოთ/იოებლობასთან. გაიხსნოთ, რომ როგორც 1904 წ. პარიზში გაიმართა როსეთის რევოლუციონერების თა აბოზიროზ პარტიის კონფრინტი (თავისწრო ჩიენი პარტია). პ. ს. პ-ია თათანხმოა. საჭირო მოსაზრიბით. რომ კონკრიტისი, რაზომოც/არა მოოხოინო ყოვილიც მხოლოთ აირონომია პოლონეთის თა არა სროლი

სეპარაცია. განა ჩვენ—ს.-ფედერალისტებს—არ გვინდოდა ქართველი ერის სრული განთავისუფლება, რომელიც გამომდინარეობდა ჩვენი ეროვნული კონცეპციიდან, მთელი ჩვენი მოღვაწეობიდან? მაგრამ საქმე ხომ ჩვენ სურვილებზე არ იყო მიმდგარი.

მაშინდელ პირობებში (რუსეთისა და კერძოთ საქართველოს, ქართველი ერის პირობებში) ჩვენ რომ სრული გამოყოფის ლოზუნგით გამოვსულიყავით და არა ავტონომიის, ეს არ იქნებოდა პრაქტიკული საქმიანობა, არ იქნებოდა სერიოზული და მხოლოთ დაუკარგავდა ლირებულებას ჩვენს მუშაობას. ჩვენთვის ავტონომია ფეტიში არ ყოფილა, მთავარი იყო ქართველ ერში ეროვნული მეობის აღდგენა, აუცილებლობა მისი სახელმწიფოებრივობის და მაშინ ამისკენ გზა იყო ავტონომია, რომელიც უკეთეს პირობებში უნდა დამთავრებულიყო ერის სრული სუვერენობით.

გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ, თუ როგორ გაძნელებული იყო მუშაობა შიგნით იმ ნილილისტურ - ეროვნულ პროაგანდით, რომელსაც ეწეოდენ ჩვენი მოწინაამდეგენი, როდესაც ხშირად საქართველოს ხენებაც გაძნელებული იყო და საჯარო დისკუსიების დროს შორიდან მიკიბულ-მოკიბული გზით უნდა დაგვეწყო ლაპარაკი, რომ საშუალება მოგვცემდა ჩვენი ეროვნული იდეის გამოცხადებისა.

ყოველ შემთხვევაში დიდი შეცდომაა ავტონომიით ფორმალურად ამოწურვა ს.-ფედ-ბის მოღვაწეობისა. ვიმეორებთ, ავტონომია იყო ერთერთი (იმ დროს მისაღები) გზა ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისწრაფებათა რეალიზაციისთვის. ამგვარადვე მცდარია, როცა ჩვენს სახელწოდებას ფედერალისტებისას მარტავენ ისე, თითქოს ეს ნიშნავდა რუსეთთან ფედერაციას. ჩვენთვის არასოდეს ყოფილა ასე. ჩვენთვის ფედერალისტობა ნიშნავდა საერთოდ დეცენტრალიზაციას და კავშირს თვითმმწერდ და თვითმართველ ორგანოებისას საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ დარგში (ეკონომიკაშიც, (ქადაგია) და კერძოთ საერთაშორისო ურთიერთობაში ჰელისტემობდა თავისუფალ ერების თავისუფალ კავშირს. ჩვენ, როგორც ფედერალიზმის პრინციპის დამცველებმა, წამოვაყენეთ მაშინ კავკასიის ფედერაციის იდეაც, რომელიც უდავოდ მიაჩნია დღეს ყველას..

ჩვენი მუშაობა ათეული წლის მანძილზე, ვიმეორებთ, მეტად მძიმე პირობებში, არ დარჩენილა უნაყოფოთ. მიუხედავად მედგარი იერიშებისა მოწინაამდეგეთა მხრით, ეროვნული იდეა შეიჭრა მათ რიგებშიც—გაჩნდა „ალიონისტების“ ჯგუფი; მერმე დაარსდა ეროვნულ - დემოკრატიული პარტიაც.

ბრძოლა საქართველოს სახელმწიფო ბრივიბისათვის კიდევ უფრო გაიშალა. ქართველი ერის ცხოვრების დღიურ წესრიგ-ზი დადგა რადიკალურად ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა ან ისე ან ასე, გვერდის აქცევა აღარ შეიძლებოდა.

ამრიგად დიდი მსოფლიო ობის დროს საქართველოს სახელმწიფოებრივობის მცნება ჰაერში ტრიალებს, პისი ლანდები გარკვევით ისახება; უცხოეთში მყოფ ქართველთა ერთ ჯგუფში იბადება სრული სეპარაციის აზრიც. ამიტომ როცა დღეს აქა-იქ შეხვდებით ისეთს განცხადებას, თითქოს ქართველი ერი სუბიექტიურად სრულიად მოუმზადებელი შეხვდა თვის და-მოუკიდებლობას და თითქოს ეს გარეშე ძალებმა იძულებით მოახვიეს ქართველ ერსო,—ეს სწორი არაა, ეს ცილისწამებაა ქართველ ერზე და სახელს უტეხს მას დაუმსახურებლად, გან-საკუთრებით გარეშეთა თვალში *).

რასაკვირველია, უდავოა, რომ დიდმა ოშმა და მომყოლმა ამბებმა, საგარეო პირობებმა დიდი, შეიძლება ითქვას, უაღ-რესი როლი ითამაშა ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენაში. მაგრამ ასეთივე იყო მათი მნიშვნელობა სხვა დამონებულ ერების განთავისუფლებისთვის. განა ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ფინლანდია, ბალტიის ერები ელიოსებოდენ დამოუკიდებლობას, რომ არ მომხდარიყო კატასტროფები, რომელთაც მთელი მსოფლიო შეანძრიეს? ან თუ ელიოსებოდენ, როდის? საერთაშორისო გართულება ყოველთვის უწყობდა ხელს ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას. ასე მოხდა წარსული დიდი ომის დროსაც.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი ერი თავის გან-
თავისუფლებას პასიურად და გულგრილად მიეღება. ვისაც
უნახავს 26 მაისი, ამას ვერ იტყვის. ცხადია, წინა ხანებში წარ-
შეობულმა ნილილისტურმა მუშაობამ საქმეს ავნო, ჩვენი და-
მოუკიდებულობის აქტებში იყო უსწორ-მასწორობა, მაგრამ
საერთოდ ქართველი ერი 26 მაისს შეხვდა როგორც თავის
ისტორიის უდიდეს დღეს, როგორც მოვლენას ორმად საწა-
დელს და საყვარელს. ეს მას უნდოდა, მისკენ მიისწრაფოდა,
და თუ ამას ნებით თუ უნებლიერ ვინმე უარყოფს, მან არ იცის
საქართველოს ისტორია, არ იცნობს ქართველი ერის სულს.
ფსიქიკას. ერის სულიერობის შეფასება არ შეიძლება ერთი ან
ათეული წლის მიხედვით. რუსეთის დამკვიდრების დღიდან
ჩვენში ერთი გარკვეული ხაზი არ მოსჩანს: ხან გამწარებული
ბრძოლაა მოძალადების წინაამდეგ, ხან კი თითქმის ყველაფე-

*) სამწოდებაროა, რომ ასეთს (კილისწამებას აღგილი აქვს პასუხისმგებელ პირების ნაწერებშიც).

რო ჩამქრალი და მკვდარია. მაგრამ ეროვნული სულის ცეცხლი არასოდეს გამქრალა—ისტორიული სახელმწიფოებრივი ტრადიციები მუდამ ღვივოდა, თუნდაც ხშირად ძალიან ჰქრთალად, მხოლოთ ცალკე ჯგუფებში. ერთს საუკუნეს, რაც უნდა მკაცრი რეპრესიებით იყოს მოცული, არ შეუძლია ერთს გულიდან მისი ვინაობის აღმოფხვრა, მით უმეტეს რომ ჩვენს ერს თავის გრძელ ისტორიაში ბევრი საუკუნე გაუტარებია ასეთ სიმწარეში. უკვდავია პოეტის თქმა: „არმომქვდარა, მხოლოთ სძინავსო“!

საჭირო იყო შესაფერი გარემოება, რომ მიმქრალი ცეცხლი ქვლავ ავარდნილიყო და ამას ხელი შეუწყო იმ ეროვნულმა მუშაობამ, რომელიც სწარმოებდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის სიგრძეზე და განსაკუთრებით ამ საუკუნის დასაწყისიდან.

ს. ფირცხალავა.

არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას

(მისი გარდაცვალების 20 წლის თავზე).

ოცი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც არჩილ ჯორჯაძე მიწას მივაბარეთ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ ვინ იყო იგი.

ქართველი საზოგადოება კარგათ იცნობს მის პიროვნებას, მის პრაქტიკულ მოღვაწეობას და მის მსოფლმხედველობასაც.

ვიტყვით მხოლოთ, რომ არჩილის მთელი მრწამსა სამი სიტყვით გამოიხატვის:

„ერი და მშრომელი ხალხი!“

მისთვის ეროვნული და სოციალური თავისუფლებანი თითქმის სინონიმები იყვნენ: მას ვერ წარმოედგინა ქართველი ხალხი სოციალურათ გათავისუფლებული და ეროვნულათ დამონებული; ვერც, პირიქით, ეროვნულათ თავისუფალი და სოციალურათ დაჩაგრული.

არჩილი ხშირათ ამბობდა: „როდესაც ჩვენ ეროვნებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ უნდა გვქონდეს მხედველობაში იმისთვის ნივთიერი და სულიერი პირობები, ურომლისოდაც შეუძლებელია ხალხის წარმატება. ჩვენი ეროვნება კარიელი სიტყვა იქნება, თუ ჩვენ არ ვეკავეთ ჩვენი ხალხის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენი ეროვნული აღმოჩინება დამოკი-

დებულია ჩვენი მჭარმოებელი ხალხის, უმრავლესობის კეთილ-დღეობაზედ; ამისთვის ჩვენს ეროვნულ იდეაში ხალხის ნივთერ მდგომარეობის გაუმჯობესებას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს“.-*)

მისი საყვირი მათ უხმობს მხოლოთ „ვინც თავის ჭიუას, ზეობრივ და ფიზიკურ ძალას საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის, ხალხის თავისუფლების საქმეს მოახმაროს“.**)

ერისა და სოციალურ კლასების დამოკიდებულება!—აი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც არჩილმა თავს იდვა და საუცხოვოთაც შეასრულა.

მაშინ როდესაც „კომუნისტური მანიფესტი“ ამაყათ და მქუხარეთ გაიძახოდა: „მუშას სამშობლო არ აქვა“-ო, არჩილ-ლი სწერდა: „მამულიშვილობა ხანგრძლივი ისტორიის შემუშავებული ფსიქიური ფაქტია; მისი შინაარსი სოლიდარობაა განსაზღვრულ ერთეულთა შორის. როდესაც ეგ სოლიდარობა შეუძლებელი ხდება სოციალურ ინტერესთა ანტაგონიზმის გამო, ერი იყოფა ნაწილებათ და თუ უმრავლესობა სწყვეტს ზნეობრივ კავშირს უმცირესობასთან, მის გულში მაინც რჩება ის ფსიქიური ფაქტი, რომელიც, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, ეროვნულ შემეცხების დახასიათებაში შედის“.**)

ფსიქიური ფაქტი, რომლზედაც არჩილი აქ ლაპარაკობს, ეროვნული, კოლექტივური ცნობიერებაა, რომელიც, მისი აზრით, ერის თვითეული კლასის შეგნებაში მაშინაც მოქმედებს, როცა ამ კლასთა შორის ასებული ანტაგონიზმი უაღრეს წერტილზეა ასული.

სხვა ადგილას არჩილი კიდევ უფრო გამოკვეთილათ გამოსთვევაში ამ თავის აზრს.

იგი ამბობს: „ვინც ჩვენს ცხოვრებას აკვირდება, ამ ცხოვრებაში ორგვარ მოვლენას ჰქედავს. ერთის მხრივ—წოდებრივ, კლასობრივ წინააღმდეგობას, მეორე მხრივ—ეროვნულ თანხმობის მიღრეკილებას. პირველ მოვლენას საფუძვლათ უდევს ქონებრივი უთანასწორობა; მეორე მოვლენას—შეგნება ნათესავობის და კავშირის განსაზღვრულ ადამიანთა შორის“.**)

საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე მომქმედ ძალთა ორგვარობა თვით საზოგადოების ბუნებაა: ყოველგან და ყოველ-

*) თხუზულებანი წიგნი IV, გვ. 48.

**) ტომი I, გვ. 160.

*) თხუზულებანი წიგნი I, გვ. 84.

**) წიგნი IV, გვ. 194.

თვის საზოგადოების ევოლუციას ორი საწინააღმდეგო მიმართულების: განკურძოების და გაერთიანების ძალები მართავენ.

ეს ძალები მხოლოთ დღეს არ გაჩენილან!

თვით ჩვენი წარსულიც ამ დუალიზმის ნაწარმოებია: „ჩვენი ისტორიის ზედაპირული შესწავლაც გვიმტკიცებს—გვასწავლის არჩილი—რომ წარსულში, თუ არ მეტი, არა ნაკლები ქონებრივი უთანასწორობა იყო ჩვენში და რომ წოდებათა დაუყოფას ღრმა ეკონომიური საფუძველი ჰქონდა... ამისდამიუხედავათ ქართველი ერი ყოველთვის ებრძოდა ხოლმე ყველას, ვისაც მისი პოლიტიკური დამონება ჰსურდა. რით აიხსნება ამგვარი გარემოება?... იმით, რომ მიუხედავათ ნივთიერ უთანასწორობისა, ჩვენი გლეხი რიღაცითაც დაკავშირებული იყო სხვა წოდებასთან... ეს „რაღაც“ იყო—ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, ისტორიული ტრადიციები და სხვა ის, რასაც მეცნიერები ცხოვრების ფსიქიურ ფაქტორს უწოდებენ“.*)

არჩილი უაღრესი რეალისტი იყო.

იგი ცხოვრების შესწავლას ობიექტურათ უდგებოდა: მის გაგებაში მას მიკურძოება არ შეჰქონდა.

მან დაინახა, რომ არსებობენ სოციალური კლასები თავიანთი მოთხოვნილებებით და თავიანთი მისწრაფებებით. მან სთქვა: „ეს რეალობაა; ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ“—ო.

მეორე მხრივ მან დაინახა, რომ არსებობენ ერები თავიანთი კულტურით და თავისებური სტუქტურით, მან აღიარა: „ესეც რეალობაა და ჩვენს პრაქტიკულ მოქმედების დროს ესეც უნდა გვყავდეს მხედველობაში“—ო.

არჩილი ცალმხრივობის და მიკურძოების დიდი მტერი იყო და სწორეთ ამან ათქმევინა მას შემდეგი, ოდნავ მკაცრი სიტყვები: „ისინი... ვინც არ ხედავენ ძირითად განსხვავებას სხვა და სხვა კლასის ეკონომიურ ცხოვრების პირობებში,... თვალებ ახვეული დადიან და არ ატყობენ... არ ამჩნევენ იმას, რასაც ჩვენი ცხოვრება ეუბნება მათ. მხოლოთ ისინც, ვინც ჩვენს ცხოვრებაში მარტო ჩვენს ეკონომიურ განხეთქილებაზე უთითებენ და ამ განხეთქილების მიხედვით უარყოფენ საერთო მოქმედების ნიაღავს, იმავე ცალმხრივობას იჩენენ, როგორც პირველნი... ისინი მხედველობიდან უშვებენ... ჩვენს საერთო, შეთანხმებული მოქმედების საჭიროებას“.**)

არჩილს საზოგადოებაში არსებულ უთანხმოების და ბრძოლის არ ეშინდა; იგი კიდევაც ესალმებოდა მას და ერის განვითარე-

*) წიგნი IV, გვ. 53.

**) იქვე გვ. 95.

ბა-აღორძინებას ამ ბრძოლის პროცესს უკავშირებდა: „დედ, ვი-ბრძოლოთ და ვიკამათოთ ყველაზე იმაზე—ამბობდა იგი—რა-შიაც ვერ ვეთანხმებით (ერთმენეთს)—ბრძოლა სოცოცელის მომასწავებელია; მხოლოთ ამასთან... გავმაგრდეთ იმ „საერთო ნიადაგზე“, რომელიც... ასე საჭიროა ჩვენთვის“.***)

უბედურობათ არჩილის სწორეთ ის მიაჩნდა, რომ ზოგჯერ ბრძოლით გატაცებულნი ივიწყებენ „საერთო ნიადაგის“ არ-საბობას და ცეცხლის ალში ახვევენ ისეთ რამეებსაც, რაც არ-სებითად უდაო, საერთო განძია და რაც, თავისი ბუნებით, გაერთიანების და შერიცების პლაცდარმია და არა საომარი ვე-ლი.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ არჩილის მოქმედების მთავარი დევიზი ქართველი ერის მთლიანობა იყო; მისი კალამი სა-ზოგადოებას მუდამ გაერთიანებისა და საერთო ინტერესები-სკენ უხმობდა.

მაგრამ არჩილის გაერთიანება უბრალო ასიმილაცია არ იყო: პოლიტიკურ პარტიებს გაერთიანებისკენ იგი იმისთვის კი არ მოუწოდებდა, რომ მათ საკუთარ მეობაზე, საკუთარ სოფლმხედველობაზე და საკუთარ სოციალურ იდეალებზე ხელი აელოთ და ერთი მეორეში გათქვეფილიყვენ.

არჩილი ამბობდა: „ჩვენ ვიწვევთ მათ (მოპირდაპირე და-სებს) საერთო შეთანხმებულ მოქმედებისთვის იმიტომ კი არა, ვითომ გვინდოდეს შევარიგოთ შეურიგებელი, შევაერთოთ შეუერთებელი, არამედ იმიტომ, რომ მიუხედავათ ამ ბუნებ-რივ დიფერენციაციისა, რომელიც ხდება ჩვენის ხალხის წეს-წყობილებაში... ჩვენს... წინაშე წარმომდგარია ერთი ინტე-გრალური საკითხი ჩვენის ერის ეკონომიკურ და სულიერ წარმატებისა; ის საკითხია, რომლის შემუშავებაში მონაწი-ლეობა უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ყველა შეგნებულმა წევრმა“.*)

ამრიგათ აქ არჩილის მიზანი ერთგვარ ნეიტრალურ ზონის შექმნა იყო; მას უნდოდა სხვა და სხვა პარტიებისთვის ჩა-ნერგა ის აზრი, რომ ყოველგან და ყოველთვის ბრძოლა არაა საჭირო, რომ არის ადგილები, არის მომენტები, როცა ჩვე-ნი მოვალეობა და თვით ჩვენი კერძო ინტერესები მთლიანო-ბას, თანხმობით მუშაობას მოითხოვენ.

არჩილის ხმა ჩვენ შორის დღესაც გაისმის; იგი გრძნობით გვეუბნება:

— დედ, თვითეულმა ჩვენგანმა მკაფიოთ ჩამოასხას თავისი აზრები და ზედმიწევნით განსაზღვროს თვისი მისწრაფებები;

***) იქნე გვ. 95.

*) თხუზულებანი წიგნი IV, გვ. 4.

-- დევ; თვითეულმა ქართველმა გარკვეული, ნათელი პოზიცია დაიჭიროს და თავგამოდებით დაიცვას იგი;

ეს გარემოება, თავისითავათ, გათიშვის და განკერძოების მიზეზი არ არის, პირიქით, იგი გარკვეული თვალსაზრისით, აუცილებელი საჭიროებაცაა, რაღანაც, საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის საერთო მოქმედება იმ შემთხვევაშია მხოლოდ შესაძლებელი, როდესაც, ერთის მხრივ, ამ ჯგუფთა ფიზიანომია არის ნათლათ გარკვეული და მეორე მხრივ, როდესაც პოლიტიკური სიმწიფე თვითეული ჯგუფისა იმდენათ არის განვითარებული, რომ პოლიტიკურ-ეროვნულ ხასიათის განსაცდელის წინაშე, საერთო მოქმედების პრინციპი მისთვის აუცილებლივ და ბუნებრივ მოვლენათ ხდება“.**)

უკვე 20 წელი გავიდა არჩილის სიკვდილის შემდეგ.

ეს ხანა მეტათ გრძელია!

ხოლო არჩილის სიკვდილის შემდეგ მოხდარ ისტორიულ ამბებსაც თუ მოვიგონებთ, ეს 20 წელი საუკუნეს შეეტოლება.

მიუხედავათ ამისა არჩილის სიტყვები დღესაც ბევრს რამეს ეუბნება ჩვენს დაკოდილ გულს და ჩვენს აფორიაქებულ გონებას.

არჩილის არგუმენტები დღესაც მკვეთარი და მჭრელი არიან; არჩილის არსენალი დღესაც მდიდარი და თანამედროვეა.

მაგრამ არჩილი საინტერესოა არა მარტო მისი იდეების სიღრმით და სიღრიადით.

მის ნაწერებში იდეათა გარდა რაღაც, უზომო თბილი, გულისგამშლელი და იმედოვანი გრძნობითი სხივოსნობაა: არჩილი მაშინაც გატყვევებთ, როცა მას არ ეთანხმებით, როცა მასში მოწინააღმდეგებს ჰქედავთ;

არჩილი მაშინაც ტკბილი და მომხიბლავია, როცა იგი ჯავრობს;

არჩილი უსაზღვროთ გულწრფელი და გულლიაა;

მისი სიტყვები ხალასი და დახვეწილია: მათ ბოროტება, ორაზროვნება არ ახლავთ;

არჩილი მეტათ მკუირცხლი... გატაცებული... თითქმის იმპულსიურია და ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ხშირათ მისი ნაწერების კითხვის დროს უცებ თვით არჩილი ალიმართოს ხოლმე თქვენს წინ... არჩილი აბჯარ ასემული, კუნთებ დაჭიმული, თვალებ ანთებული... და შეგებრძოლოთ კიდეც... შეგებრძოლოთ დაუნდობლათ, მთელი საკუთარი არსებით და მთელი თავისი გონების სიმახვილით... შეიძლება თქვენც აღელდეთ... ბრძოლის უინით აინთოთ და საომარი პოზა დაიჭიროთ... მაგრამ

***) იქვე გვ. II.

არგუმენტების გაცვლა-გამოცვლისას თქვენ ოსტატის ნაცად ხელს იგრძნობთ და ნიშანათ მაღალი ფორმის პაექრობის მიერ აღმრულ სიამოვნებისა, თქვენ არჩილს მოკრძალებით და პატივით ქუდს მოუხდით...

კსონქვათ სიმართლე: მეტათ დიდი იყო არჩილის მნიშვნელობა ჩვენს ახლო წარსულში.

მისი მნიშვნელობა ჩვენთვის არანაკლებია დღესაც:

ის ეროვნული პათოსი, ის განუზომელი ადამიანური კეთილშობილება და ის უსაზღვრო საზოგადოებრივი თავდადება და უანგარობა, რომლებსაც ყოველი მისი სტრიქონი მზის ცხოველ სხივებივით აფრქვევს, თვითეული მკითხველი გულში ნაზათ დაღერებს მშობლიურს, ტკბილ ჰანგების გამომცემ, სიმებს და აღძრავს იმ გრძნობათა ლიანგებს, რომლებიც ყველა ჩვენ, გაუტანელ ქართველთ, ჩვენდა უნებურათ და ჩვენი სურვილების გარეშე, გვაერთებს და გვანათესავებს.

და ამიტომ ყველა, ვის გულშიაც ქართველი ერის სიყვარულის და მისი კეთილდღეობისთვის ზოუნვის დაუშრეტელი ცეცხლი გიზგიზებს და ვისი გონებაც მუდამ ქართველი მშრომელი ხალხის ბედს დასტრიალებს, დროგამოშვებით არჩილთან უნდა მივიდეს და მისი სულის სიდიადეს ეზიაროს.

ა. შათირიშვილი

ჩად არა ვსწერთ ჩვენი პარტიის ისტორიას

ჩვენი მოძარობის ისტორია ჯერ არ დაწერილა.

იმიტომ კი არა, რომ ახალ საქართველოს რაობის გამოჭედაში ჩვენი კვალი ღრმა არ ყოფილიყო: თუ ოთხმოცდაათი წლებიდან ქართველი სხეული პოტენციალურ ძალებს შელიდა და მისი სული ეროვნულ ათვისებით და ისტორიულ ტრადიციათა გამულავნებით ეკლიან გზებს მიიკაფავდა, ეს უმთავრესად მაინც ამ მოძრაობის საქმე იყო.

ისტორია ჯერ რომ არ დაწერილა, ამის მიზეზი სხვა რამაც. ჩვენი ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, მიზანი ჯერ სანახევროდაც მიღწეული არაა და წინანდელზე უფრო მძაფრ და ულმობელ შებმას მოითხოვს მტერთან.

შეიცვალა მხოლოთ სახე ბრძოლისა, არსება კი იგივე დარჩა. ამას სულ ზერელე ანალიზიც დაგვანახავდა: „საქართველო! მისი ისტორიული უფლების და ლირსების აღდგენა და

მისთვის საპატიო აღვილის მოპოება სხვა ერთა შორის“. ესიყო
მაშინ თამაში და ვაუკაცური თქმა; იმ შავბნელ წლებში, რო-
ცა ძველ თაობას რუსეთმა ბრძოლის ხერხემალი გადაუმტვრია
და „ბოძების“ ოხვენებით კანცელარიები აავსებინა, ხოლო ახა-
ლი თაობა იმავე რუსეთმა ეროვნულ ნილილიზმით მოვიწამ-
ლა და სოციალურ რადიკალიზმში დააცხრობინა ისტორიული
ქართული აქტიობა...

უკუღმართად ვიდოდა ბედი ქართლისა იმ უამაღ, მტერი
მოხერხებული მოვლით იღებდა ძველ და ახალ მაღლობებს
და საქმე იქამდე მივიღა, რომ სამარცხვინო დატა, 1901 წელი,
საქართველოს სუვერენობის მოსპობიდან ერთი საუკუნის შე-
სრულება, ქართველ თავად-აზნაურობობას ზეიმით ადღესა-
სწაულეს, მეორე მხრით კი ქართველი ახალი თაობა ენტუზია-
ზმით აღტაცებული ქუჩაში წითელი დროშებით გამოიღოდა
და ხალხს 8 საათის სამუშაო დღის მოთხოვნისათვის რუსის
ჯარს უპირისპირებდა....

ასეთი გზით მიღიოდა გასული საუკუნის ორივე თაობა
და საქართველო ორსავე განზე რჩებოდა.

გაისმა გულის ტკივილი და რბილი გოდება ჩვენი მგოლენებისა და „ჭირისუფლებისა“ ილიასი, აყავის და სხვათა... მაგრამ „კაცი არ იყო, რომ ფიქრი თვისი გაეზიარებინათ“ და „ტყუილად უყოოდა და ეძებდა გმირებს მათი დაფი და ნაღარა“... საჭართველოს სადარაჯო დაიცალა და არათუ ერის სუვერენობის აღდგენაზე შეიძლებოდა ოცნება, არამედ გმირული შებმა იყო საჭირო, რომ ინტელიგენცია ერთბაშად არ გარსებულიყო და ჩვენი მამა-პაპათა ძვლებით მოკირწყლული მიწა-წყალი უცხო, მოსულ ელემენტებისაგან სულ არ დარღვეულოყო. იოყვნებოდა სული, ინგრეოდა პალატი: ჰქონდა ენა, გვეცლებოდა ტერიტორია. და ჩვენ მაინც ინერციით იმავე საშინელ „ძილით“ ვიყავით მოცული. საჭირო იყო მძღოვრი შეძახება, იმედის და რწმენის გაცოცხლება, საკუთარის შეყვარება და დაშთენილ ძალთა დარაჩმვა. და დაცარიელებულ ქართულ სადარაჯოზე მხნეთ და თავდადებით ავიდა ეს პატარა ჯგუფი ლასხიშვილის და ჯორჯაძის მეთაურობით. განწირულათ მიაჩნდათ მათი ნაბიჯი—„ვისი იმედით, ბატონო, ეს ხომ ავანტიურაა? ვის გინდათ დაუპირდაპიროთ ეს ერთი მუჭა ხალხი? მარტო თავად-აზნაურობის და ქართველ ინტელიგენციის ლოიალობით შეიძლება ქართულ კერის ნაშთების გადარჩენა: დაგვაცალეთ და ჩვენ მივიღებთ ნაფიც-მსაჯულთ, ერობას, უნივერსიტეტს... გაიგრილეთ გახურებული თავები!..“. მაგრამ მელიქიშვილები იღებდენ რესერვისტებს მხოლოთ „კადეტთა კორპუსის“ დაარსების შესახებ, რათა უფრო მასიურათ წასულიყო თავად-აზნაურთა რუსითიკაცია. „ვისი

იმედით?.. გაიძახოდა მეორე მხარეც: მარტო რუსეთის მუშათა კლასთან ერთობა მოვიტანს ხსნას, ყოველგვარ ჩაგვრის მოსპობა აქედან მოვაო...“.

მაგრამ ქართულ საფუშავოზე ასულნი ეხლა ანთებულის გულებით ეროვნულ ქადაგებად გადაქცეულიყვენ და გოლიათის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ემზადებოდენ. „ქართველი ხალხის იმედით“, გაიძახოდენ ისინი,— მარტო ამ ერთად-ერთ დასაყრდენ ძალის იმედით!.. ჩვენ მოუწოდებთ ყველას, ყოველ წოდების, კლასის და წრის ქართველს, ვისაც ერის მომავალი სჯერა, დადგეს ამ სადარაჯოსთან“.

„მაშ თქვენ უარყოფთ კალასთა ბრძოლას, მაშ თქვენ ფეოდალებთან და ბურჟუაზიასთან ერთად გამოდიხართ?“ ჩვენ გვწამს პრიმატობა ეროვნულ ბრძოლისა, იყო პასუხი. ჩვენი მიზანია თავისუფალი ინდივიდუალობა და ყველაზე უფრო უწინ თავისუფალი ერი, როგორც უმაღლესი განხორციელება ამ ინდივიდუალობისა. ჩვენ გვინდა ადამიანის განთავისუფლება სოციალურ უთანასწორობისაგან, გვინდა ყველას შევუქმნათ თავისუფალი ეკონომიური განვითარების პირობები, ჩვენ ვიბრძიოთ ყოველი ადამიანის ლირსებისათვის, მისი სოციალური ემანსიპაციისათვის. მაგრამ ჩვენ ყველაზე მაღლა მაინც პიროვნებას ვაყენებთ... პიროვნებას პარმონიულს, თავისუფალს... ამიტომ ჩვენ ვიბრძიოთ უწინარეს ჩვენი ყველაზე უპირველეს, უდიდეს პიროვნების— ჩვენი ერის აღდგენისათვის... ეს კი შესაძლებელია მარტო თავისუფალ, ქართულ სახელმწიფოს ფარგლებში. ქართულ ინდივიდუალურ პიროვნებას, მის სულს უნდა შევუქმნათ მტკიცე ზღუდე, უშიშარი კერა, უნდა აღვადგინოთ ქართული სახელმწიფო! ეს ეთნაირად სჭირიათ ქართველ მუშას, გლეხს, ვაჭარს, მღვდელს და მემამულეს...“

ჩვენ მოუწოდებთ ყველას ერთობისაკენ, ქართული ტრადიცული სახელმწიფოს აღსაღვენად.

ეს იყო მაშინ იმდენად გაბედული და იმდენად ახალი თქმა, რომ ჩვენს წყვდიადში საშინელ გრგვინვად გაისმა და ძველი და ახალი თაობა მტრის წინააღმდეგ დარაზმული, ეხლა მთელის სიმძაფრით ამ ახალ მოძრაობას დაეჯახა და მისი განადგურება მოინდომა.

ხანგრძლივი და მძაფრი იყო ეს ბრძოლა; მაგრამ ჩვენს მოძრაობას მოპირდაპირესაგან ის ანსხვავებდა, რომ **ნამდვილი მტერი** არც ერთის წუთით არ დავიწყებია... და საშინელ გააფრთხებისა და „მიწევის“ დროსაც, ეროვნულ სადარაჯოზე მდგომნი, მაინც მამულიშვილურს წმინდა მოვალეობას ამ ივიწყებდენ და მაინც ქართველთა დაქსაქსულ ძალების გაერთიანებაზე ფიქრობდენ მტრის წინააღმდეგ. ამ დაჯახების საშინელ გამწვავების ხანაში ჩვენი ხელი მაინც გაწვდილი იყო

მათკენ, და არჩილ ჯორჯაძე ისევ დაუცხრომელის დაუინტებით სწერდა: „შეთანხმება მაინც შესაძლებელია“—ო.

ძველი თაობა მოილალა, იქნებ დაეჭვიანდა კიდეც თავის ლოიალობის ნაყოფიერებაში, მაგრამ ახალი კი—უფრო გამა-გრდა; გალრმავდა და თითქმის მთელი ერის ბელადობა ხელთ იგდო.

ქართველი ხალხი ამ ბრძოლაში ორგანიზაციულად დარაზ-მა, გააწყო და ბრძოლაში გამოიყვანა, ეხლა სისხლი არა მარტო ტფილისის ქუჩებში იღვრებოდა, არამედ საქართველოს მივარღნილ კუთხეებშიც... ხოლო საქართველოს იდეა იყო ძველებურად მწვალებლობად გამოცხადებული და ყოელაზე უფრო პოპულარული ლოზუნგი იყო: „ძირს საქართველოს ავტონომია“—ო. და განა ეს ჭაბუკობის უამის „საყმაწვილო“ სენი იყო? არა! ჩვენ საქართველოსათვის ვიყავით დევნილი და ჯვარზე გაკრული მოწინააღმდეგეთა მომწიფების უამსაც, როცა მათ ძალა-უფლება ხელთ ჩაუვარდათ...

მაგრამ ტრადიცია ჩვენში არ კვდებოდა და ჩვენ სებასტიანესავით გულზე ისარ დასობილი საქართველოს სიყვარულით მაინც ვსუნთქავდით და ამ შინაურ გამდგართ მაინც ხელს ვუწვიდით და ვიძახდით: „შეთანხმება მაინც შესაძლებელია, იგი უნდა მოხდეს!“ რადგან ჩვენ ვხედავდით დიდ მტერს და ვიცოდით ჩვენი ერის გამოფხიზლებას და აღდგომას ის არა-სდროს არ შეურიგდებოდა.

და ჩვენი ალლო არც ეხლა გვამტყუნებდა საუბედუროთ... მტერი მოვიდა ეხლა სულ სხვა სახით და წინ ახალი, წითელი ციციანოვები გამოაყოლა თავის ჯარებს დარიალის კარები-საკენ...

და ეხლა გამდგარმა თაობამ, მისმა „აცდენილ-მა“ ძალებმა გაიმეორეს ჩვენი ძველი მცნება: „შეთანხმება აუცილებელია!..“. სამწუხაროთ ეს იყო გვიან და გადვომილ - გალახულის შეყვარება ასე ერთბაშად ველარ მოახერხეს მის-მა რაზმებმა...

შემდეგ იყო თავგანწირული შებმა უსწორო მტერთან, სი-რცხვილის მოხდა ქართველ ერისათვის 1924 წლის გმირულ აჯანყებით და აი, დღემდე ბრძოლის ტალღები ხან ზევით ადიან, ხან უფსერულში ენარცხებიან...

დღეს ეროვნულ საღარაჯოზე მარტონი აღარა ვართ; ეხლა ბევრისაგან გვესმის გამამხნევებელი ხმა, ხელის გამოწვდა და ლოზუნგი: „საქართველოს აღდგენა უპირველესად, მისი და-ხსნა მტრის ტყვეობიდან, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“. დღეს ეს ჩვეული სიტყვა ყველასათვის გასაგები გამხდარა... ეროვ-ნულის პრიმიტობა სოციალურზე, კლასიურზე, პროფესიონა-ლურზე... ყველაფერი ეს ეხლა განმარტებას აღარ მოითხოვს

მცირედის გამონაკლისის გარდა... და „გამონაკლის“ ჩვენ არც მომავლისათვის ვთვლით ბრძოლის აქტივში, რადგან ეხლა საამისო დრო არაა; ეხლა „მორჯულებისთვის“ აღარა გვცალიან; მტერი, ხმალ ამოწვდილი, თავს გვადგას და მისი ლოზუნგია: „ხელი ყელში, მუხლი გულში!“.

წინანდელთან შედარებით განსხვავება დიდია, დღეს ეროვნული მოძრაობა მართლაც სახალხო, საერთო მოძრაობად ქცეულა და საქართველოს უფლებისათვის განსაწირავად რაზმები სდგანან ჩვენს ქვეყანაში, სდგანან და გამოძახილს უცდიან... ეხლა ჩვენ აღარ გვინდა ქართულ კერათა გამოცოცხლება: დრამატიული, საისტორიო-საეთნოგრაფიო, წერა-კითხვის და სხვა საზოგადოებანი, ეხლა ჩვენ გვაქვს ყველაზე დიდი საზოგადოება, რომელიც ყველა ამ კერათა ჩანასახებს ჰქონდა, ჩვენ ვეკუთვნით „საქართველოსათვის შეფიცულთა საზოგადოებას“.

ამ „პარტიას“ წიგნაკი არ ეჭირვება, მისი წევრია ყველა ქართველი, გარდა ორიოდე მოლალატისა და შეშინებულ რენეგატისა; მისი საწევრო გადასახადია ჩვენი სისხლი, მან რომ ძალვებში ჩაგვისხა და მას რომ უნდა დავაპკუროთ ხელახლა, გადავუხადოთ.

მისი ისტორიაა: ჩვენი დაკეცილი დროშა, გარდატეხილი ხმალი... მაგრამ ხმალი კვლავ იჭედება, დროშა კვლავ გაიშლება! ჩვენ ამით ვცოცხლობთ, ამით ვითქვამთ სულს და ეხლაც ისე გვწყურიან ჩვენი ადგილი პირველი იყოს საქართველოს საგუშაგოზე, ავაგოთ ჩვენი გული მტრის ხიტზე, ვიცლებოდეთ სისხლისაგან და მაინც ვიძახდეთ: „დიდება საქართველოს!“.

ბრძოლა გრძელდება, ჩვენ მას ვეკუთვნით და ძველებურად პარტიულ ღირსებაზე და ეგოზმზე არა ვფიქრობთ, რადგან ვართ „ძველთანავე საქართველოზე შეყვარებულნი“... ჩვენ მისთვის განვიწირებით, მას გავახარებთ და მომავალი თაობა იტყვის—რა შექმნა და რას მიაღწია ჩვენმა მოძრაობამ.

იმ, ამისათვის არა ვსწერთ ჯერ ჩვენს ისტორიას. მეორე მიზეზიც ის არის, რომ ჩვენ ეხლა ბრძოლის ხანაში იუბილე-ების დატები აღარ გვიზიდავენ, ქორონიკონი დადგა, დრო ჩვენთვის გაიყინა... თხუთმეტი, ოცი, ოცდახუთი, ოცდათი წლები გადიან, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვიხდით იუბილებს; ჩვენ საზეიმოთ განწყობილნი არა ვართ, ჩვენ გასულ ათეულ წელთა ისტორიას ვერ დავსწერთ დღეს...

ვერა!

რადგან ყველა დატები გაქვავებულან, სდუმან და მეტყვე-

ლებს მარტო ერთი დატა: „25 ოქტემბერვალი 1921 წ.“ ჩვენ უნდა მოვკლათ ეს დღე, რომ ყველა ბრწყინვალე დატები გავაცოცხლოთ. მანამდის ჩვენი ისტორიაც კლიტე დადებული დარჩება...“

არჩილიანი

† იოს. პილუშადსკი ..

ჩვენი გამოცემის ბეჭდვის დროს ვარშავაში გარდაიცვალა პოლონეთის უდიდესი შვეიცარი იოს. პილუშადსკი. მისი ცხოვრება აღსავსე მდიდარი შინაარსით, თავდადებით, გმირობით, დაუშრეტელი ენერგიით, შეუწყვეტელი ბრძოლით თავის ერის განთავისუფლებისა, აღდგენისა და გაძლიერებისათვის მოითხოვს დიდი ყურადღებას და ფართო შესწავლას. დაუფასებელია ლვაწლი, რომელიც იოს. პილუშადსკიმ გაუწია თავის



სამშობლოს; იგი სრულის უფლებით ამოუდგება გვერდში პოლონეთის საუკეთესო ისტორიულ პირებს. ხოლო მისი პიროვნება და მოქალაქეობა სათაყვანებელია სხვა ერებისთვისაც, ყველა იმისთვის, ვინც მაღლა აყენებს ეროვნულ არსებას და იბრძვის მის თავისუფლებისათვის. იგი განსახიერებაა ეროვნული, იდეის, იყო რევოლუციონერი და ეროვნულ სა-

ხელმწიფო ბრივობის მძღვრი აღმშენებელი, და ამ მხრივ ქართველებმა დიდი პატივისტებით მუხლი უნდა მოვიდრიკოთ მის ცხედრის წინაშე.

პოლონეთმა რუსეთის ხელში განიცადა იგივე მწარე ბედი, რაც საქართველომ. ჩვენ ერთად ვიტანჯებოდით და ერთად ვიბრძოდით. ამან ბუნებრივად დაგვაახლოვა და დაგვაკავშირა.

განსვენებულ პილსუდსკის თავის ქვეყნის უდიდეს მამული-შვილს, კარგად ესმოდა ქართველების მდგომარეობა და ყოველთვის იყო საქართველოს გულითადი მეგობარი.

გიგო რცხილაძე

გასული წლის 8 ნოემბერს ტფილისში გარდაიცვალა გიგო რცხილაძე, ერთი ჩვენი საუკეთესო ამხანაგთაგანი, ჩვენი მასწავლებელი, რომლის გონიერი და ფრიად მეტყველი სახე ყოველთვის გვეხატებოდა გიორგი ლასხიშვილის გვერდით. ორი წელიწად ნახევრის მანძილზე საქართველომ დაპკარგა ორი უერთგულესი შვილი, მისთვის მუდამ თავდადებულნი, მისთვის, ხმლოოთ მისთვის, მისი ლირსებისა და ბედნიერები-სათვის მებრძოლნი. მთელი მათი სიცოცხლის წლები დაილია ქართველი ერის და ხალხის სამსახურში.

განსვენებული გ. რცხილაძე თითქმის თავიდანვე მიემხრო ჩვენს პარტიას და თავისი ცოდნა, გონება, შრომა დაუღალავად მოანდომა ჩვენი გეგმების გვარცელებას და განხორციელებას. იგი იყო მწერალი, უურნალისტი საზოგადოთ და მისი კალამი შეხებია მრავალს სხვა და სხვა საკითხს,, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა პარტიულ პროგრამის გარკვევასა და დასაბუთებაში. მისი პრაქტიკული მოღვაწეობა, არა მარტო წმინდა პარტიულ, არამედ საერთო ეროვნულ პოლიტიკურ-ეკონომიურ-კულტურულ საქმეებში ყოველთვის მეტად ძვირფასი იყო. მას სამართლიანად ჰქონდა დამსახურებული ფრიად სერიოზულ და ფხიზელი ადამიანის სახელი, რომლის სიტყვას მოწინააშლებელი კი ყურადღებით ისმენდა.

გიგო არ იყო მაინცა და მაინც ხნიერი, რომ გარდაიცვალა, მაგრამ მოძალადეთა წყობილებამ, ცხადია, მასაც შეუმოკლა დღენი ისე, როგორც სხვა ბევრს მამული შვილს.

1918 წელს, გ. რცხილაძე იყო წევრი დელეგაციისა, რომელიც გამოემგზავრა სტამბოლში ისმალებთან მოსალაპარაკებლად ევ. გეგეჭკორის მეთაურობით; ამ დელეგაციაში მონაწილეობდა აგრედვე გ. გვაზავაც. კონფერენცია არ შესდგა. გე-

გეტეკორი გერმანიაში გაემგზავრა დანარჩენი კი უკანვე დაბრუნდნენ და კონსტანტინეპოლში დარჩა მარტო გვაზავა. მეორეჯერ გ. რცხილაძე მოხვდა არმისტისის შემდეგ 1919 წლის იანვარში კ. ჩხეიძის მეთაურობით ევროპაში გამომგზავრებულ დელეგაციაში. ეს დელეგაცია ძლიერ მრავალრიცხოვანი იყო,



ევროპისაკენ მხოლოდ კ. ჩხეიძე და კ. წერეთელი გაემგზავრნენ, დანარჩენნი კი საქართველოში დაბრუნდნენ. გ. რცხილაძე დარჩა სტამბოლში და აქ იგი ორი წლის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა. როგორც უცხოელებში ისე ქართულ კოლონიაში დიდი სიმპატიები და პატივისცემა მოიპოვა. 1921 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა პარტიის მოთხოვნის გამო და მას შემდეგ დაუღალავად ემსახურებოდა სამშობლოს ინტერესებს.

პიროვას გიგო რცხილაძის ხსოვნას

არიან ადამიანები პირადულის მომხიბლავ თვისებებით აღჭურვილნი. ისინი უცებ გხიბლავენ, გატყვევებენ და ოქვენც ხშირად უნებლიერაც მათ აზრებს და ნაბიჯებს ვერ ასცდებით. საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედება შედარებით გააღვილებულია. მათ ნაკლები მოწინააღმდეგე ჰყავთ და მათი მსვლელობის ბილიკი ამ პირადულის და პიროვნულის თვისებებით საკმაოდ დათელილია. არიან მეორე ტიპის მოღვაწენი, რომელთაც ეს პერსონა-

ლური მომხიბლაობა არ გააჩნიათ, ან და აქამდე მიწვდება... ამათი ბილიკები ნაფართო წრისათვის შეუძლებელი ხდება... ამათი ბილიკები ძნელად იტკეპნებიან და მიმდევრებიც მათ სათითაოდ უნდა „დაიპყრან“. ამათ ადვილად არ მოხვედრიათ არც ერთი გამარჯვება—ხანგრძლივი, მოფიქრებული და ყოველმხრივ აწონილ-დაწონილია მათი თვითონეული გამოსვლა და აუდიტორიაც, მიმდევრებიც მათ არასდროს „გატაცება - დათრობით“ არ მოუპოვებიათ. თვითეული გრძნობებს აძინებს და ცივ სასწორზე სწონის ამ ბელადთა აზრებს და ნაბიჯებს; ანალიზი ფხიზლობს, სკეპსისი კვალ და კვალ მიპყვება და არ უნდა მცირედი რამეც „შეაწიოს“... ასეთი მოღვაწეებს გამარჯვება ძვირად უჯდება, მაგრამ მარტო ძვირი საქონელია კარგი და გამძლე... და ოქვენ რაც უნდა ენტუზიასტურის ანთებით არ შეიქრათ მის რაზმებში, მათში არევ-დარევას ვეღარ შეიტანთ, ამ გაწვრთნილ ლეგიონებში არც აპილპილება იციან და არც პანიკას მიეცებიან, ასე მტკიცედ უშენებია მათ ბელადს ეს სული მებრძოლ რაზმისა.

არა, მე არ მინდა რაიმე გავაზვიალო და მინდა იმავე ცივ ანალიზის გზას გავყვე; რომელიც ამ ადამიანთა მოქმედების მთავარი იარაღია და ამიტომ მწამს—არ ვცდები, როცა ჩვენს გიგოს ამ მოღვაწეთა ჯგუფს ვაწერ.

მას ადვილად, ეფემებრულად არ მოუპოებია არც ერთი გამარჯვება და ის მაღლობი, რომელიც მას ჩვენი საზოგადოებრივი და პარტიული ასპარეზისა სიკვდილამდე ეჭირა დიდის გარჯით, სინიდისიერის შრომით, გამოჭედილის რწმენით და სრულის დარბაისლობით ჰქონდა მოპოებული. მას ერთბაშათ არა სწამდა შეტევებზე გადასვლა და ამ მაღლობის ყოველ საფეხურს ის „ეტაპებით“ იღებდა. ამიტომ იდგა იგი ასე მაგრად ორივე ფეხებით და „რყევების“ დროს მისი დაეჭვება და „ძერა“ არავის უნახავს. ასეთ ნაირად მოპოებული ადგილი ათასის სანგრებითა შემოსალტული და მტერს იქეთ ცეცხლი არ მიაქვს, ეს განწირული საქმე იქნებოდა. ეს არის სინამდვილე და მე მოგახსენებთ, არა მარტო გარეშე მტერზე, არამედ შინაურზეც...

არამდენჯერ შეისმა ცივმა, მაგრამ ფოლადათ ნაკვეთმა და ნატკეპნმა ხმამ ჩვენ ბურანიდან გამოგვიყვანა.. ჩვენ მაშინ ბრაზი გვერეოდა, რევოლუციით დამთვრალთ ეს ზომები და ჯებირები გვეჯავრებოდა, მაგრამ მაღე ჩვენ ის ამ გონიერების ქსელში გვაბამდა და ჩვენ ბოლოს მისი მადლიერი „ტყვე“ ვიყავით.

არამდენი შეგვიძლიან მოვიგონოთ, მაგრამ ამას მთელი რვეული დასჭირდებოდა. ამიტომ მარტო ორი ეპიზოდი:

„ქართულ კლუბის“ დიდ დარბაზში დიდის ზეიმით ჩატა-

რდა პარტიული კონფერენცია, მთელი მოწინავე და მოზროვნე საქართველოს წარმომადგენლებს მოეყარათ თავი. ვზვიადობდით, ვამაყობდით, რომ ბოლოს გამარჯვება დაგვრჩია და ერთ შესდგა ქართულ სახელმწიფოს შექმნის გზაზე. მაგრამ მათ ვინც ჩვენი გზა მიიღეს, ჩვენ ხელი გვერეს და ეროვნული ესტრადის საკუთრივ დანარჩუნება მოიწადინეს. ჩვენი ამხანაგები ამას რა თქმა უნდა ვერ ურიცდებოდენ და განსაკურთხებით ახალგაზრდობა გააფთრებით იცავდა ჩვენს ლირსებას და დამსახურებას. ამ ბრძოლაში მათ შეურაცხვოფას აყენებდნენ და აქ ეროვნულ საქმისათვის ნაწამები, გალანძლული, კეთილშობილის აღშფოთებით მოდის უმაღლეს ტრიბუნალის, პარტიის კონფერენციის წინ ახალგაზრდობა და გულის ჭრილობებს გვიშლის. ერთს ემატება მეორე, მეორეს სცვლის მესამე და აღშფოთებაც უმაღლეს წერტილს ოღწევს; ჩვენი ამხანაგები დაიჭირეს, სცემეს, სისხლი ადინეს; ჩვენს პარტიულ ბინაში შემოიჭრენ, დაარბიეს იქაურობა, ჩვენი ემბლემა—არჩ. ჯორჯაძის სურათი თავზე გადავვახიეს, წმინდა დროშა ლაფში ამოსვარეს. როდემდის ვითმინოთ?.. საქართველოს ლირსებისათვის, პარტიის სახელისათვის ჩვენ ვირაზმებით თავდაცვისათვის, მეტს ვერ ავიტანთ...

გაიძახოდენ ისინი და ჩვენ ურუანტელი გვივლიდა; ვიცოდით, ვეგრძნობდით, რომ დიდ ხიფათის წინ ვიდექით, რომ ეს იყო პირველი ტალღა სამოქალაქო ომისა და ვინ იცის—რა ხიფათი შეიძლებოდა დაგვტეხოდა ყველას თავს, ვიცოდით ყველა ეს, მაგრამ ვინ გაბედავდა ეთქვა; რომ ამ ახალგაზრდობის კეთილშობილი აღშფოთება საფუძვლიანი არ იყო, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება თავდაცვისა? ხოლო სად იყო საზღვარი „თავდაცვისა“...

ყველანი ვსდომდით. და ამ დროს შემოიჭრა ამ ელექტროთ და შურის ძიებით გაეღენთილ დარბაზში ცივი მეტალური ხმა,—ლრმა და შავ თვალებიან პატარა ტანის კაცისა. გრძნობით ანთებულ ხალხს ნელა „გავაზე“ ხელი გადასვა, მერმეთ აღვირი ფრთხილად დაუჭირა, ფრთხილად საღავე მოსწია, კიდევ უფრო ძლიერად, კიდევ და კიდევ და ბოლოს ანთებული მერანი ამ კაცმა დაიმორჩილა და ზედ მოჟარტა, წუთითაც არ დაეჭვებულა, გეზი მისცა და ეხლა ეს ფაფარ-აშლილი მხედარს სრულიად დაემორჩილა.

ეხლა ის იმდენად დაეუფლა ყველას, რომ შეტევაზე გადმოვიდა, თავს დაესხა შეურაცხვოფილ ახალგაზრდობას და სირცხვილშიც კი ჩააგდო. როგორ? განა ასეთ დიად ისტორიულ მომენტში ჩვენ პირადი, ან პარტიული გვაინტერესებს? განა, როცა ეროვნული, სახელმწიფოებრივი დროშა ზევით იმართება, ჩვენ იმის შურისძიებისათვის უნდა ვირაზმებოდეთ,

რომ ვიღაც რეგვენებმა ჩვენი პარტიული დროშა დაგვიხიეს? განა პარტია ერისთვის არ გვინდოდა მუდამ? და ახლად ფეხ-ადგმულ ეროვნულ სხეულს თქვენ სამოქალაქო ომს უძა-დებთ? და ამას თქვენ შეურცხვენელად ლაპარაკობთ აქ, ამ პარტიის ყრილობაზე, რომელმაც ამდენი დევნა აიტანა საქა-რთველოს განახლებისათვის?

ჭუთაისელმა ამხანაგებმა, თავდაცვის უფლებას რომ ითხოვ-დენ, ერთბაშათ თავი ჩაჰკიდეს და შეცდომა იგრძნეს, მათი სა-ხე სიწითლემ დაპირადა და ჩვენ ვიგრძენით, რომ დიდ ხიფათს ავცდით და გიგოს ფხიზელმა გონებამ კიდევ ერთხელ გაიკა-ფა გზა ანთებულ გრძნობათა სათავესთან და ნააჩქარევ, სა-ხიფათო ნაბიჯისაგან გვიხსნა, სირცხვილი აგვაცდინა.

მეორე, დრამატიზმით სავსე ეპიზოდიც — შავ-ბნელ დღეები-დან. საქართველო დაპყრობილია, ყველგან იჭრება უხეში, მოსული ძალა... ტერორი და დევნა ქართველთა ფართვაშობს. სიზმარი ტკბილი გაპქრა, 26 მაისი დაგვეღუპა... რა ვქნათ? ვიმსჯელოთ; გვირჩეთ რამე... გვეუბნებიან ახალგაზრდები, „ასე ვერ დავრჩებით!..“ მტერს იმედი აქვს — ჩვენს ავსა და კარგს უფრო ახლო გაეცნოს და პარტიულ სონფერენციის ნებასაც გვაძლევს. მას იმედი აქვს თ. ლლონტის, ნუცუბიძის და სხვა რენეგატების. და ჩვენ ამ ოკუპაციის მძიმე კირთებს ქვეშ კიდევ ერთხელ ვიკრიბებით და ვმსჯელობთ; „ერთხელ კიდევ მეტყველებს ნახევრად თავისუფალი სიტყვა დამარტე-ბულ ქართველ პატრიოტთა და პარტიამ თამამად დაპირ-რენეგატთა „ჯგუფის და ლერწამის“ პოლიტიკა; ლლონტი მრავალი საათები „ლალადებს“, მაგრამ მისი მომხრე ამ უამ-რავ დამსწრეთა შორის, სულ 3-4 დაშინებული და უმორალო ახალგაზრდაა. სხვები? აი, აქ არის მძიმე მდგომარეობა — რით შევაკავოთ აბობოქრებული ახალგაზრდობა, რომელიც უსწორო ბრძოლის ვნებითაა შეპყრობილი და სასოწარკვეთი-ლებას არ სურს თავი დაუდოს... აქ გადავარდნა, პროვოკაცია სულ ადვილია, პაერში შურის ძიების ელექტრო უხვად გად-მოიდის და გზახსნილს ითხოვს... მეორე მხრივ სკეპტიკოსი, უიმედოთ შეპყურებენ ერთმანეთს და გამოსავალს ადვილად ვერ ჰპოულობენ...

აი, სად არის სწორი და ურყევი დიაგნოზი საჭირო... სად უნდა ითქვას სიტყვა ძლიერი, მოფიქრებული, განვერეტილი, სახანგრძლივოდ სახელმძღვანელო. სიტყვა — ხანგრძლივად და მტკიცედ ნაჭედი პაროლი.

და, აი კათედრაზე ადის ეს პატარა, შავი კაცი, უშავესის თვალებით და ჭკვიანის, აზროვნების და თან ჰიპნოტიურის გამოხედვით. იგი იწყებს ნელა, მდაბალის, მაგრამ აუთოო-ლებელის ხმით და მალე ამ მეტალის სიძლიერე ჩვენში იჭრება,

დაშლილ ნებას აფოლადებს და ჭრილობას მაღამოდ ედება. არც ვნებათა ღელვის აყოლა, არც სასოწარკვეთილებისათვის თავის მიცემა, არც შიში, მაგრამ არც უსწორო ბრძოლაში გძვლა... სიფრთხილე! ძალთა დაგროვება, მუშაობის თავიდან დაწყება, ეროვნულ სხეულის დანაშთების მოვლა და სიყვარული. ვაჟკაცურად ატანა ყველაფრისა და საქართველოს მომავლის რწმენა და ლოდინი. როდემდის? ვინ იცის — იქნებ ძალიან დიდის ხნითაც... მაგრამ განა საქართველო მარტო ჩვენ თაობას ეკუთვნის? ჩვენი თაობა შეიძლება განწირულიც იყოს, მაგრამ ბრძოლა ხომ არ არის განწირული — საქართველოს უარესიც უნახავს, მაგრამ დღემდის მოუტანია და მისი მაჯის კემაც კვლავ გაგრძელდება.

ესაა ჩემი იმედი! „განა ჩვენ არა ვგრძნობდით, განა საშინელი ძალა არ დაგვაწვა და სულს არ გვიხუთავს?“ განა ჩვენ არა გვტკივა? გვტკივა, ძალიანაც გვტკივა, მაგრამ უნდა ავიტანოთ, უნდა გავუძლოთ — მაშ!“. და აქ დავა საჭირო აღარ იყო, ჩვენ მივიღეთ პაროლი და ეკლიან გზას, გზას მტკივნეულს, მაგრამ ვაჟკაცურს გავყევით. და გიგო ისევ მიაბიჯებდა ამ ეკლიან გზაზე. „სტკიოდა“ და „იტანდა“ მხნედ და განა ასეთი კაცი კვდება?...

რაზმელი.

მიმოხილვის მაგივრ.

I

რუსეთის რევოლიუციისა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოებისა და მისი დაკარგვის შემდეგ, ბუნებრივია და გასაგები ის იდეიური გარდატეხა, რომელიც განიცადა და განიცდის დღეს ყოველი ქართველი პოლიტიკური პარტია, მით უფრო ბუნებრივია, რომ ყველაზედ მწვავედ იდეურმა კრიზისმა, აზრთა გადაფასებამ და პოლიტიკურმა ქანაობამ თავი იჩინა ქართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც მის დღევანდელ ეროვნულ ფორმაციამდე ეტაპებით მიღიდა: რუსეთის იმპერიის დანგრევამ სრულიად რუსეთის საიმპერიო პარტია დაიყვანა სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციათ: კაცკასიურ გაერთიანებამდე და კავკასიის დაშლამ კი ეს პარტია ჩააყენა მის ნორმალურ ეროვნულ კალაპოტში. ქართველ ს-დემოკრატიულ პარტიის დემოუკიდებლობის დროის და დამოუკიდებლობისათვის წარმოებული პოლიტიკა იმდენად განსხვავდება ამ პარტიის ხანგრძლივ წარსულისაგან და ეს განსხვავება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამას არ სჭირდება ხელახლა მტკი-

ცება. მხოლოდ ამ გარეშემოების აღიარებას, თვით ს.-დ-ბის მიერ ვერსად ნახავთ, ვერც პარტიულ პრესაში და ვერც ერთ საპასუნისშეგებელო სიტყვიერ გამოსვლაში. ეს ფინანსურის მიერ ვერსად ნახავთ, ვერც პარტიულ პრესაში და ვერც ერთ საპასუნისშეგებელო მოსაზრებით გასავებია, მით უფრო, რომ პარტიის წარსულ ხანის ხელმძღვანელობა დღესაც პარტიის სათავეშია. უარჲყვეს რა ეს პირდაპირი საშუალება, სოც.-დემ. პარტიის მეთაურობა იძულებულია გამოუნახოს თავის მიმდინარე პოლიტიკას, განსაკუთრებით ეროვნულ პოლიტიკას, პრინციპიალური საფუძველი იმრიგად და იმზომად, რომ ახალსა და წარსულს შორის შესაძლებელი იქმნეს თუ პირდაპირ ხიდის გადება არა, იდეიური ნათესაობა მაინც გამოინახოს. პარიზის ს.-დ. ორგანიზაციაში ბ. ივ. ჭავჭავანიძის მიერ წაკითხული მოხსენება—„ქართულ ეროვნულ მოძრაობის საფეხურები“ სავსებით ადასტურებს ზევით აღნიშნულ შენიშვნებს. ეს მოხსენება სავსეა იდეურ დებულებათა და ისტორიულ პერიოდების გაგებათა წინააღმდეგობით. ჩვენთვის არასარგრველი და მიზანშეუწონელია დღეს ს.-დ-ს და ს.-ფ-ს შორის წინეთ არსებულ დავის სიმწვავის გაცხოველება, მაგრამ არ შეგვიძლია ქართული ახლო წარსულის, განსაკუთრებით ს.-დემოკრატებს და ს.-ფედერალისტებს შორის არსებულ იდეიურ დავის და პოლიტიკურ მიზანთა გამსხვავების გაგება და გაშუქება მივიღოთ ისე, როგორც ამას თავის მოხსენებაში უმართებულოთ იძლევა ბ-ნი ჭავჭავანიძე. როლები დამატრიცალურად შეცვლილია მის მოხსენებაში. ის ამბობს: ერი, ეროვნება, ეროვნული თავისუფლება, ქართული კულტურა, ერის ეკონომიკური წარმატება,—აი იმდროინდელი საჭიროობოტო კითხვები, რომელთა ირგვლივ ტრიელებდა ახლად წარმოშობილ ს.-დემოკრატიულ პარტიის აზრი და გონიერაო.

მაშ, გაგვაგებით, რაში იყო დავა არჩილ ჯორჯაძესა და მესამე დასელებს შორის?! ეს მცნებანი — ერთი, ეროვნება, ეროვნული კულტურა—მცნებანი, ჩვენთვის ყველაფრის ამომ-წურავი, —განა არ შეადგენენ სათაურებს არჩილ ჯორჯაძეს ნაწარმოებისა და საგანს მისი პოლიტიკურ - პუბლიკისტურ მოღვაწეობისას? განა ყველა ეს მცნებები არ იყო ს.-დემოკრა-ტიულ პარტიის მიერ აღიარებული როგორც რეაქციონური და ხალხის წინსვლის ხელისშემലელი? ამგვარი შენიშვნის მო-ლოდინზი ბ-ნი ივ. ჭავჭავაძიდე წინასწარ იძლევა ძევლს და არა-პირდაპირ პასუხს. „მესამე დასმა“, თურმე, თავის გამოსვლის პირველ დღიდანვე შეუპოვრად გაიღა შქრა ს.-ფედერალისტ-თა პარტიის ეროვნულ საკითხისადმი ბურეუაზიული მიღვომის წინაამლდევ და მის ნაცვლად ჩვენ, ს.-დემოკრა-ტები, ეროვნულ საკითხს მიუღებით მუშათა კლასის თვალ-საზრისით და მას მივეცით მუშური გაგებათ. ბ-ნი ივ. ჭავჭავაძი

ქე წინდახედულად არ ამბობს, თუ როგორი იყო ეროვნული საქითხის მათი ის მაშინდელი მუშური გავება. ისტორიულ სინამდვილის აღდგენსათვის და არა ს.-ფედერალსტების დამსახურებათა ასახიშნავად, ჩვენ შევნიშნავთ, რომ მაშინ მომქმედი ს.-დემოკრატია ყოველგვარ საშუალებით იბრძოდა სამშობლოს და ეროვნების ცნების წინაამღდევ და მასში არ შექმნდა არავითარი გავება, მათ შორის არც მუშური, გარდა ამ ცნების სრული უარისყოფისა. ს.-დემოკრატების მიერ ეროვნულ საკითხის ამ ნიადაგზე დაყენება სულ ახლო წარმოშობისას. და სწორედ საკითხის ამრიგად დასმა და მისი მარქსისტული გაგება გვანსხვავებს ჩვენ და ს.-დემ. ეროვნულ საკითხში. ჩვენ, ს.-ფედერალისტები, არც წარსულში და არც დღეს არ უდგებით ეროვნულ საკითხს კლასობრივ მიღებომით, ეს მიუღებელია ჩვენი მსოფლმხედველობის ძალით. ქართველ ს.-დემოკრატების ეროვნულ საკითხის გაგება იმას ადასტურებს, რომ მათ იდეურ კონცეპციაში ერს არ აქვთ სუბსტანციის მნიშვნელობა. და როდესაც ბ-ნი ივ. ჭავჭავაძე სწერს, რომ „სოც-ფედერალისტები მოითხოვდენ კლასთა ბრძოლის და ინტერესთა წინაამღდევობის მიჩქმალვას“ და იძლევა მაშინდელ მდომარეობის თავისებურ გაგებას, — ეს უკანასკნელი არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. საქართველოს ეხლანდელი და მაშინდელი მდგომარეობა მით განსხვავდება, რომ დღევანდელი უარესია, ჩვენის აზრით, მაშინდელზედ. ჩვენი მიზანი მაშინ და ეხლა და ამ მიზნის მისაღწევად აღებული პოლიტიკური გეზი ერთი და იგივეა. ქართველ პოლიტიკურ პარტიების და ყოველგვარ ეროვნულ ძალების გაერთიანება, რასაც დღეს ოფიციალურად ქართველი ს.-დემოკრატია თავის პოლიტიკურ ხაზად აღიარებს, — დიდი ომის წინ დიდათ ადრე წამოყენებული იყო ს.-ფედერალისტთა პარტიის მიერ. არჩილ ჯორჯაძემ და მისმა პოლიტიკურმა მეგობრებმა მთელი თავისი ნიჭი და ენერგია დაახარჯეს მას, რომ ეს იდეა ქართულ საერთო ეროვნულ ფრონტის შესახებ მიეღოთ ჩვენებურ ს.-დემოკრატებს. ქართული მთლიანი პოლიტიკური ფრონტი, ე. ი. ქართველ ხალხის ეროვნულ ნებისყოფა, რომ ძლიერი გამხდარიყო, ამისათვის საჭირო იყო არა კლასთა ბრძოლის და ეკონომიკურ წინაამღდევობათა პირველ ადგილზე დაყენება, — არამედ მთლიან ფრონტის შემადგენელ ნაწილების ყოველმხრივ გაძლიერება და მათი გაერთიანება მათვის საერთო ეროვნულ დროშის ქვეშ. და ამიტომ ვიცავდით ედოვნულ ცხოვრების ყოველგვარ ატრიბუტებს. ჩვენ სასურველად მიგვაჩდა ქართველ ბურჟუაზიის წარმოშობა, ამას ჩვენ არ ვმალავდით; ვიცავდით ქართულ ეკლესის ავტოკეფალიას, ვიცავდით ქართულ მიწა-წყალს, საქართველოს სახელმწიფოებრივ

უფლებას და მთელი თავისი სიგრძით და მნიშვნელობით ქართულ კულტურულ ფრონტს, რომლის დიდ მნიშვნელობას ეროვნულ ცხოვრებისათვის ეხლახან მონათლული პარტიები აქ, პარიზში, მიხვდენ. ეს იყო ჩვენი პოლიტიკური გეზი და ს.-ფედერალისტთა პარტია შეეცადა გაერღვია ანტიეროვნული რკალი და თავის ეროვნული დროშა მიეტანა ქართველ ხალხისათვის. თუ ჩვენმა პარტიამ ეს სავსებით ვერ შესძლო. სამაგიეროდ მან ეროვნულად დარაზმა მთელი ის ძალები, რომლებმაც აღდგენილ სახელმწიფოს მიუტანეს თავიანთი ცოდნა და ეროვნული აღტყინება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დასაბუთება ეროვნულ საკითხის ნაწილობრივ ემყარებოდა ავსტრიის სოციალ-დემოკრატების მტტო ბაჟერის და ქარლ რენარის პრინციპებს, ეროვნულ საკითხში მათ გაგებას;—ქართველ სოც.-დემოკრატების უარყოფითი პოზიცია ეროვნულ სასითხში ემყარებოდა განსაუთრებით გ. პლეხანოვის დებულებებს. ამის შედეგი ის იყო, რომ ავსტ.-უნგრეთში მოქცეული ერები მპყრობელ იმპერიის დანგრევას მოელოდენ არა როგორც უბედურებას, არამედ საკუთარი თავის ხსნას, როგორც ეროვნულ რევოლუციას, მას სახავდენ ბრძოლის მიზნად. ეროვნულ საკითხის სწორ პრინციპიალურ ნიადაგზე დასმა, სწორი პოლიტიკური ხაზი დაეხმარა ამ ერებს კრიტიკულ პირობებში გამოცხადებული ეროვნული თავისუფლება დაეცვათ ყოველგვარ საშუალებით, ყოფილიყვნენ მზად ამ მომენტისათვის. დღეს უთუოთ ქერთველი ს.-დემოკრატებიც არ უარყოფენ იმას, რომ გ. პლეხანოვი რუსეთის იშვიათი პატრიოტი იყო და იმავე დროს გააფრთხებული და მოხერხებული რუსი იმპერიალისტი, რომელმაც მთელი თავისი ნიჭი მწერლის და ჩაგრულ ერთა სიმპატიები რევოლუციისადმი, რუსეთის იმპერიალიზმის სამსახურს მოახმარა. მარქსიზმის ორთავე ფრთის, რუსულ მენშევიზმის და ბოლშევიზმის იმპერიალისტურ ბუნებას უკეთ თვით ბ-ნი ნოე ეორდანია ამჟღავნებს თავის უკანასკნელ წერილებში. სამწუხაროდ აქაც ჩვენ საქმე გვაქვს ერთვარ გაორებასთან. ბ-ნი ნოე ეორდანია ხშირად სწერს წერილებს საქართველოს დღევანდელ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე და ამ შემთხვევაში დგას საქართველოს დაცვის ნიადაგზე,—აქ ის ქართულ პოლიტიკის მეთაურია, მაგრამ საშინაო პოლიტიკის, სადღეისო საკითხების განხილვის თუ ჩვენი ახლო წარსულის შეფასების დროს, ის ხშირად ისევ ძველ პოზიციებს უბრუნდება.

II

უფრნალ „ორნატის“ წარმოშობა და ამავე სახელშოდების დაჯგუფების დაარსება საყურადღებო მოვლენაა. ყველა იმ

დაჯგუფებას შორის, რომელიც წარმოიშვა ს.-დემოკრატიულ პარტიაში იდეიურ და ორგანიზაციულ კრიზის შედეგად,— მხოლოდ „ორნატი“ დადგა გადაჭრით, ეროვნულ იდეოლოგიის ნიადაგზე. ამგვარ მოძრაობის წარმოშობა ბუნებრივი იყო როგორც ერთგვარი რეაქცია კოსმოპოლიტიზმის წინაამღვევა, რომელიც ახასიათებდა ჩვენში მარქსიზმს. „ორნატი“-ს მოძრაობა თავის იდეიურ და ორგანიზაციულ განვითარების დროს გადასცილდა იმ მიზნებს, რომელსაც ისახავდა თავის წარმოშობისას.*) გასულ წლის თვეშერვლის „ორნატში“ ედ. პაპავა ამრიგად ახასიათებდა თავის ჯგუფის მიზანს: უცხო დოკტრინებს, ევროპის მომავალისათვის რომ არის ნავარჯიშევი, უარვყოფთ ყველას ერთბაშად. ქართულ რეალ პოლიტიკის მთავარი საკითხებზე უნდა იყოს: როგორ უნდა მოხდეს ევროპიულ კულტურისა - ეკონომიკის ჩვენს ქვეყანაში გაღმონხერვა და რაც შეიძლება უმტკივნეულოთ. იმავე ნომერში ვ. ნოზაძე, ამ ახალ ჯგუფის პოლიტიკურ გეზს მოკლედ და გარკვეულად გამოხატავს: ჯერ ჩვენს წინ დგას მხოლოდ ერთი საკითხი არსებითად: ერის განთავისუფლების საკითხი...

რა გვეთქმოდა,— თუ ახალი თაობა სოციალ-დემოკრატიისა გაიზიარებდა ჩვენს ეროვნულ მრჩამსს, თუმცა ამის საჯარო თქმისათვის „ორნატს“ არ გამოაჩდა არც გამბედაობა და არც პოლიტიკური მიუდგომლობა. სამწუხაროდ, შემდეგში „ორნატელებმა“ შესცვალეს როგორც თავსი საერთო ხაზი, ისე არგუმენტაცია, მეოთხი და სტილი. „ახალ მონათლულისათვის“ ჩვეულ სიფიცხით, არავის არ სცნობენ ლირსად მამული-შვილის სახელის ტარებისა, უარყოფენ კერძოთ სოც.-ფედერალისტთა ეროვნულ დამსახურებას და ისე, როგორც ზოგი ნაც.-დემოკრატიც თავის-თავს დიდი ილიას პოლიტიკურ მემკვიდრეებად აცხადებენ. ვიქ. ნოზაძე ჩვენს პარტიას სხვათა შორის უსაყვედურებს, თუ რატომ უკანასკენელი ტერიტორიალურ ავტონომიის ნაცვლად არ დადგა სეპარატიზმის ნიადაგზე. ეს საყვედური სრულიად გაუმართლებელია და არა გულწრფელი. თვით ვიქ. ნოზაძე თავის ერთ-ერთ წერილში სამართლიანად იცავს ილიას ქართველ მარქსისტებისაგან, რომებიც კითხვას აყენებენ, თუ ილია ჭავჭავაძე ეგრე წინდახედული ეროვნული მოღვაწე იყო, რატომ არ იცავდა ის ჩვენი ქვეყნის სეპარატიზმს. ილ. ჭავჭავაძემ საკითხი ეროვნულ სიბრტყეზე წამროადგინა და ეროვნულ იდეალად გამოჰკვეთა,

*) ეს წერილი დაწერილია ვიდრე „ორნატის“ და „თ. გ.“-ის გაერთიანება მოხდებოდა და დახასიათებაც „ორნატი“-ს იმ დროინდელ მდგომარეობას შეეხება. დღეს „ორნატი“, როგორც დამოუკიდებელი სხეული, აღარ არსებობს.

ხოლო სამოქმედო პროგრამად გამოცხადებული იქმნა დღიური სიცხადის ნაკარნახევი რეალი პოლიტიკა, ქართველ ეროვნულ მეობის. დაცვის საჭიროების შესახებ,—უპასუხებს ვიქ. ნოზაძე. ეს პასუხი მეტად ზოგადი და განყენებულია. აქედან სამოქმედოთ შეიძლება მცირე და დიდი დასკვნები გამოვიტანოთ. ამაზე არც ვიქ. ნოზაძე და არც სხვა არ ამბობს რას. ილია ს.-ფ. პარტიის ეროვნულ მოთხოვნილებებს—ტერიტორიალურ ავტონომიას—სთვლიდა მაქსიმალურ და გადაჭარბებულად, ნააღრევად და სახიფათოდ. თუ ილიას გადაჭარბებული ზომიერება ითვლება პოლიტიკურ გამჭრიახობად და გონიერებად,—გასაკვირვია რად უსაყვედურებს ვ. ნოზაძე ს.-ფედერალისტებს ეროვნულ პროგრამად სეპერატიზმის არ წამოყენებას. წარსულის კრიტიკის შემდეგ „ორნატი“ იხილავს ქართულ პოლიტიკის სადღეისო საკითხებს და განსაკუთრებით თავს ეს-ხმის ქართულ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებას და მასში ჩვენი პარტიის მონაწილეობას. ამგვარი ხასიათის შენიშვნები ჩვენ გვსმენია სხვა მხრიდანაც. ყოველი მიუდგომელი ადამიანისთვის უდავოა, რომ ქართულ პოლიტიკის ხელმძღვანელია დღეს აქ, უცხოეთში, ჩვენი ეროვნული ცენტრი. ამას მოწმობს მასზე ყოველმხრივი თავდასხმა და მისი გააფორებითი თავდაცვა. ეროვნულ ცენტრში ჩვენი მონაწილეობა გამომდინარეობს ჩვენი პარტიის მთელი წარსულიდან და ჩვენს ქვეყანაში და მის გარშემო შექმნილ პირობების საღი პოლიტიკურ შეფასებიდან. ეროვნულ ცენტრის დღევანდელი პოლიტიკური გეზი და მისი პრაქტიკა ჩვენ ყოველთვის არ გვაკმაყოფილებს. მხოლოდ როგორი ცნდა იყოს მისი კრიტიკა და ბრძოლა მისი ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისათვის ამაზე ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი შეხედულება. ეროვ. ცენტრის სისუსტეს აღვიარებთ—ვცდილობთ შევმატოთ მას მეტი მორალური და პოლიტიკური პრესტიჟი. საჭიროა მისი გაფართოვება, შემადგენლობის უფრო თანასწორ წესზე აგება. საჭიროა თვით პარტიებში გაერთიანება, შექმნა პარტიულ მთლიან ნებისყოფისა. საჭიროა პარტიათა კონსოლიდაცია, შეთანხმებიდან გამომდინარე ყოველგვარ საშუალებათა თანაბრად მოხმარა, რომ ამ გზით აცილებული იქმნეს რომელიმე პარტიის გაბატონება. ამ გზით ეროვნული ცენტრი შეიქნება საქართველოს განმათავისუფლებელ იდეის უკეთესი გამომხატველი და მატარებელი. ხოლო ჩვენ არა თუ ვიღებთ, არამედ სასტიკად ვგმობთ ზოგიერთ ჯგუფის მიერ წამოყენებულ დებულებას: ბოლშევიზმის თავის-თავად გადავარდება, ბრძოლა მენშევიზმთან, აი ჩვენი მტერიო.

ჩვენ არ ვიცით რა იქნება მომავალში, ეს დამოკიდებულია თვით ქართველ სოციალ-დემოკრატიაზე, მაგრამ დღეს ჩვენ

ვართ შეთანხმებული ს.-დემოკრატიულ პარტიასთან, რადგან ის იპრეზის საქათველოს დამოუკიდებლობისათვის. ასევე შეთანხმებული ვართ ნაც.-დემოკრატებთან, რომელთანაც გვაერთებს ერთი მიზანი—საქართველოს განთავისუფლება.

ჩვენ ვართ ყველასთან, ვინც ჯგუფურ და პარტიულ განსხვავებაზე მაღლა აყენებს ერთი მთლიანობას და მის დამოუკიდებლობას. ჩვენი მიზანია ქართველ ხალხის მთლიანობა, მტრის წინაამდევ ქართული ფრონტის გამაგრება და ამათ საწინაამდევებო აზრთა ქადაგება დიდ დანაშაულად მიგვაჩნია. კარგი განზრახვითაც შეიძლება საქმისათვის ხელის შეშლა. ასე მოგვივა, რომ ედ. პაპავას დავუჯეროთ, რომელიც ახალ თაობის ძეველების მიმართ დაპირისპირებით ჰფიქრობს ახალი ძალა შექმატოს. ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელ ბრძოლას. ყოველივე ეპოქის ახალ თაობას აქვს თავისი გაგება, ენა და სტილი. უცხოეთში მომწყვდეულ სხვა და სხვა პარტიების ახალგაზრდობას არა აქვს უფლება ილაპარაკოს სამშობლოში დარჩენილ ახალგაზრდობის სახელით. მხოლოდ ამ ორი ამ უამად დაშორებულ ნაწილთა შეხვედრისას, შეიძლება ჩამოყალიბდეს ახალი აზროვნება და მოძრაობა, რომელიც უთუოთ გამონახავს ახალ პოლიტიკურ ფორმებს.

„ორნატი“ გვისაყვედურებს, თუ რატომ დღემდის არ ვამბობთ უარს ჩვენ აგრძარულ პროგრამაგე და მის ნაცვლად არ ვამბობთ ახალ სიტყვას. ეს იგულისხმება თავის-თავად. რომელი პარტიაა, რომ იცავე დღეს საგსებით ძველ პროგრამას სახვალიოდ? და არის კი დროული დღეს მისი შედგენა? ეს საკითხი, რომელიც მხოლოდ საკითხის დასმის მნიშვნელობა ექნება, ცალკე გამოსაყოფა. ერთ-ერთი სადღე-ისო პროგრამა—ეროვნული განთავისუფლების დროშაა, საკიროა ამის ქვეშ ყველას გაერთიანება, ვისაც თავისი სამშობლო მიაჩნია უმაღლეს ხელმძღვანელად.

ნიკ. ურუშაძე.

ე რ თ ი პ ა ს უ ხ ი ც

ემიგრაციაში თითქოს მოდად გადაიჭია ჩვენი პარტიის ჩა-წიხვლა. ამ მხრივ განსაკუთრებულს სიბეჭიოთს იჩენენ აგრეწოდებული „ახალგაზრდები“ თუ დაგვიანებით „გაახალგაზრდებულები“. არიან აღამიანები, რომლებიც გუშინ „პოგრამებს“ მართავდენ საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციების დროშის წინაამდევ და დღეს ურცხვად ეროვნულ იდეის პიო-

ნერობას ჩემულობენ. ამათგან ობიექტურს შეფასებას ჩვენ არ მოველით. მაგრამ გვიკვირს, რომ ისეთი მომწიფებული პირი, როგორიც ბ. მ. წერეთელია, განსვენებული გ. მაჩაბლის ნეკროლოგში (თ. გ. №86), ყოვლად უსაფუძვლო ცნობებს ავრცელებს ჩვენი პარტიის ზოგიერთი წევრის შესახებ. ეს მით უფრო გვიკვირს, რომ მ. წერეთელი ამ აღამიანებს კარგად იცნობდა და რამდენიმე წლის განმავლობაში მათთან უმუშავნია საერთო საქმისათვის.

მ. წერეთელი იგონებს მეტად საინტერესო დროს—დიდი ომის წლებისას, უცხოეთში შემდგარ კომიტეტის მოლვაწეობას, გ. მაჩაბლის და კომიტეტის სხვა წევრების ჩამოსვლებს საქართველოში და მათ შეხვედრებს პარტიების წარმომადგენელებთან. მ. წერეთელი მეტად პესიმისტურად აფასებს ამ შეხვედრების შედეგს—არავინ ფიქრობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე. მინდა ცოტა მეც გავიხსენო ეს ამჟავი, რადგან ზოგ რამეში პირადი მონაწილე ვიყავი. მსოფლიო ომის დაწყებამ მთელი საქართველო შეანძრია და განსაკუთრებით ეს იგრძვნეს პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა. თუ მანამდე რუსეთში გაბატონებული რეაქციის წყალობით პოლიტიკური მუშაობა შენელებული იყო, ახლა მოქმედების დიდი პერსპექტივები იშლებოდა, საყოველთაო გამოცოცხლება. ყვილასათვის დაისვა ორიენტაციის საკითხი: რომელი მხარის გამარჯვება შეუწყობდა ხელს საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესობას? ერთი გერმანიის გამარჯვებაზე ემყარებონენ, მეორენი უკეთეს მომავალს საფრანგეთ-ინგლისის დაწინაურებაში ხედავონენ. ამ ნიაღაზე საზოგადოებრივი აზრის ერთგვარი ხელახალი დაყოფვაც მოხდა, რომელიც პარტიულ დარაზმულობის საზღვრებს გადასცილდა. პარტიულობა არ ფარავდა ორიენტაციას, ერთსა და იმავე ორიენტაციას ემხრობოდებს სხვა და სხვა პარტიის წევრები. არ დამაკიწყდება ა. წერეთლის გადმოსვენება საჩერედან 1915 წ.—მთელი გზის მანძილზე შორაპნიდან ტავილისამდე საგანგებო მატარებლის გაგონში გაცხარებული კამათი იყო. ორიენტაციის გარშემო, რომელშიაკეთ მონაწილეობას იღებდენ ჩევნი პარტიების ლიდერები და ერთსა და იმავე აზრს იცავდენ სხვა და სხვა მიმართულებისანი.

სხვებზე არაფერს გამბობ, ხოლო რაც შეეხება ჩვენს პარტიას, აქ დიდი, ძალიან დიდი უმრავლესობა გერმანიის ორიენტაციის ვიყავით, ანუ უკეთ რომა ვსოჭვათ, რუსეთის დამარცხების, და ამის მომყოლ ამბებისაგან გამოველობით ხსნას. მოწინააღმდეგ ამხანგებმა დიდი იერიშება მოიტანეს ჩვენზე. გავმართეთ კონფერენცია ტფილისში, სადაც ჩვენმა აზრმა

გაიმარჯვა (თუ არ ვცოდები, 22 კაცში სამი იყო წინაამდევი). მოწინაამდევებმა მოინდომეს ქუთაისში ცალკე კრების მოწყობა, ხოლო აქედან არა გამოვიდა რა. გაზეთის რედაქტიონშიც ჩვენი ორიენტაცია განვაძლიერდეთ და უნდა ითქვას სიმართლე, რომ არც ერთი გამოცემა არ ყოფილა ისეთი გარკვეული გამტარებელი რუსეთის დამარცხების ორიანტაციის, როგორიც იყო თავიდან ბოლო უამამდე ჩვენი გაზეთი და ეს გამოხმაურებას პოულობდა მთელ საქართველოში, რადგან გაზეთის ტირაჟი ძლიერ აიწია. ჩვენს გაზეთს გერმანიის შტაბის გაზეთს ეძახდენ და ერთმა რუსმა კორესპონდენტმა საამისო დასახულებელი დეპეშაც კი გაუგზავნა თავის გაზეთს მოსკოვში. მალე მთელი პარტია გადაშრით დადგა ამ ორიენტაციაზე და თუ თითო-ოროლა ამხანაგი კიდევ არ გვეთანხმებოდა, აქტივურ წინაამდევობას არ გვიშევდენ. საჭიროდ ვსთვლი აღვნიშნო, რომ ეს ამხანაგები უფრო ემხრობოდენ გ. ლასხიშვილის აზრს, რომელიც წინაამდევი იყო „გერმანიის ორიენტატიის“, მაგრამ ამბობდა—ალიები გაიმარჯვებენ, ხოლო რუსეთი დამარცხდება, ის ვერ შესძლებს ბოლომდის ომში მონაწილეობის მიღებას და ეს გადასწუვეტს ჩვენს ბედსო.

ახლა დაკუბრუნდეთ მ. წერეთელის მოვონებას. იგი სწერს: გ. მაჩაბელმა საქართველოში პირველი მოგზაურობიდან უნუგეშო ამბები ჩამოვაკიტანაო. გ. მაჩაბელს მე კარგად ვიცნობდი და ყოველთვის კარგი დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთთან. პირველ მის ჩამოსვლისას რამდენჯერმე შევხვდით ერთმეორეს და ქუთაისში რომ კრება მოიწვია, იმასაც დავესწარი. მოლაპარაკების დროს თითქმის ერთნაირად ვუდგებოდით საკითხს: ჩვენი გამოსავალი წერტილი იყო რუსეთის დანგრევა, სარგებლობა იმ მდგომარეობის, რომელიც ამას მოყვებოდა, დახმარება იმათვან და მოქმედება იმათთან, ვინც ჩვენს შტერს დაამარცხებდა. ცხადია ჩვენი მსჯელობა ზოგად ფორმებში სწარმოებდა, რადგან იმ დროს კონკრეტულ რამეზე ლაპარაკი ნაადრევი იყო. ასეთივე ხასიათი ჰქონდა ქუთაისის კრებასაც. ჩვენ არ შეგვეძლო მაშინ ხელალებით და ახდილად საქართველო გერმანია-ოსმალეთის მხარეზე დაგვეყნებია, ამ მხრივ ჩვენ სიფრთხილეს ვიჩენდით, ეს სრულიად ბუნებრივია. იმ პირობებში არც ერთი ფხიზელი ერი არ მოიქცევოდა სხვანაირად. როცა გამარჯვებული რუსის ჯარი წინ იწევდა ავსტრიაში, განა ჩეხები არ მოერიდნენ თავის მოძმევებთან გათაბმეას? მთელი ჩვენი სიმპატია, უმრავლესობის მაინც, გერმანიის გამარჯვების—რუსეთის დამარცხებისკენ იყო, მაგრამ ნაადრევი იყო ჯერ დარაზმვა ბრძოლისათვის, მომავალი ჯერ საეგებიო ჩანრა. ასე თუ ისე, კიმეორებ, გ. მაჩაბელს არ შეეძლო კრებიდან უიმედო დასკვნების გამოტანა.

რაც შეეხება გ. ზდანოვიჩთან და კ. აბაშიძესთან ნალაპარაკვს, რომ აირველი თითქოს უფრო პოლონელი იყო, ვიდრე ქაოთველი და აიტომ უხდოდა ოოლოხეთის შრაგვრელის გერმანიის დამხობაო, და შეორე თითქოს გაიძახოდა: თა დროს საქაოთველოშე ლაპარაკია, ოოცა საფრანგეთი იღუპებაო, ეს უველაფერი სრული სლაპარია, რომელის გახშეორება სერიოსულს უდათიას ამ სეაფერის. გ. ზდასოვის ათასოდეს თავის საკუთარები თავის არალოხელობა არ გაძოუცხადებია; ის იყო უკუკლოტვის საძდვილი ერთველი მასული ივილი და ეს დასაძლებელი მოყოლუ სასვას მერლობით ისე ათავსული ბოლვაყოსათ. შეორე გახა გ. ზდასოვის იძდეხად გულუომყვილო იყო, რომ ხედავდა ოოლოხელების დახაგვრას გეომასელებისაგამ და არ ძედავდა, რომ ოოლოხეთის უდიდესი ხაწილი რუსების ქუსლებს ევებ იიმხოოდა; შაოთალია გ. ზდასოვის ათალგა მომადაში თუს რებოლუციონერთა პაოტიაში იძრძოდა, შაგრაა ამისთვის საყვედლური ბაოტო იმას არ ეთქმის, და ეოთ და ხომ ხომ თვითონ ა. წერეთელი ინტერნაციონალურ ანარქისტებთან ერთად იბრძოდა, და ამისთვის არავის გაუსამართლებია.

კ. აბაშიძის ქაოთველობაში მ. წერეთელს ეჭვი არ შეაქვს და „დიდ პატრიოტსაც“ კი უწოდებს. ხოლო ძებელად შესაგუებელია ეს სახელი იმ სიტყვებითაც, რომლებიც თითქოს უთქვაშს კ. აბაშიძეს. ხაბდვილად ამის მსგავსი არც რაიშე უფიქრია და არც უთქვაშს. მას არასოდეს დაუპირისპირებია საფრანგეთი საქართველოსთვის და არც მოსვლია აზრად საქართველოს განწირვა საფრანგეთის კეთილდღეობისათვის. ის უპირდაპირებდა ერთმანეთს გერმანიას და საფრანგეთს, უპირატესობას აძლევდა უკანასკნელს და დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთის გამარჯვება უფრო შეეწევოდა ქართველ ერს, ვიდრე გერმანიისა. შეიძლება მცდარი იყო მისი ესეთი ორიენტაცია, მაგრამ ეს ერთია და სულ სხვაა მისი თქმა, რომ მას საქართველოს დალუპვა არ აწესებდა, ოლონდ საფრანგეთი ყოფილიყო მშვიდობით. ეს არა საკადრი ცილისწამებაა!

თვითონ მ. წერეთლის ჩამოსვლა საქართველოში 1917 წ. კომიტეტთან მოლაპარაკება არ ჰქონია. ეს გასაგებია, კონსპირატულ მოსაზრებით ბუნებრივია, მას არც შეეძლო ფართო ანკეტის მოხდენა. ნახა გ. რცხილაძე და ელაპარაკა საქართველოს აქტივურ გამოსვლების შესახებ. რა პასუხი მიიღო? ამის სრული აღთვენა ძნელია დღეს აქ. ეჭვის კერ შევიტან მ. წერეთლის გულწრფელობაში, ხოლო ნათქვამის და გაონილის გაღმოცემაში შესაძლებელია სუბიექტივური გადახრები. გ. რცხილაძე ფრთხილი კაცი იყო, მან იცოდა საერთოდ ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება—ჩვენი მაშინდელი

ეროვნული შეგნების სისუსტე, ძალთა განცყობილება და შესაძლებელია, ამა დიპლომატურად, არაძედ ტლანქად და ძველები გასცა ასუთი, ოთვლის ასრი ამ ყოფილი სოულებით რუსეთისადმი ლოიალობის დაცვა, არამედ იყო შეუძლებლობა აქტივურ გაძოსვლებისა იმ დროს. მით უფრო შესაძლებელია, რომ პირადად გ. რცხილაძე არ იზიარებდა „გერმანიის ორიენტაციას“. ყოველ შეძოხვევაში მ. წერეთელმა მოისმინა გ. რცხილაძის პირადი აზრი, და არა მთელი პარტიის შეხედულება და მას არც იმის უფლება აქვს, თავის მკითხველს ისე აფიქრებინოს, რომ თითქოს ს.-ფედერალისტები რუსეთის და მისი მთლიანობის დამცველნი იყვნენ და საქართველოს განთავისუფლების წინამდგენი, რაიც სიმართლეს ოდნავად არ შეეფერება. მ. წერეთელმა კარგაო უნდა იცოდეს, რომ სწორედ ს.-ფედერალისტები იყვნენ ყველაზე მეტად ანტირუსული პოლიტიკის დამცველნი...

მ. წერეთელი თავის წერილს ასეთი მწარე სიტყვას პირ ათავებს განსვეხებული გ. ბაიაბლის ძიმართ: „ცილისჭაშებითნა თრევის საგახი ჟენც ბევრჯელ ყოფილხარ, ძაგრად უცხოთაგან, და გაძარჯვებული გაძოსულხაო ბრძოლიდან. ხოლო მე ბედმა მარგუნა ცილისჭაშება და თრევა ჩემ ძმათა მიერვე და უდიდესი სამსალა მასვაო“. ეს სიტყვები რომ წავიკითხე, შევიცოდე დამწერი და გული მეტკინა მისათვის. თანაც ვსთქვი: ეს რომ თავში გახსენებოდა ავტორს და ეგრძნო, ალბად არ დასწერდა, რაც დასწერა, ადამიანებზე, რომლებიც ცივ სამარეებში განისვენებენ და იმის საშუალებაც არა აქვთ, რომ ხმა ამოიღონ და თავი იმართლონ.

ს. ფ.